Ronald Reagan

რევაზ ზარქუა

•

მოგონებები

•

ფილმები

თბილისი
2023

კრებული ეძღვნება ცნობილ კინორეჟისორს, კინოდოკუმენტალისტსა და მსახიობს, საქართველოს ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ლეო (ლეონიდე) ბაქრაძეს, რომელმაც თავისი საქმიანობით ნათელი კვალი დატოვა ქართულ კინოში. ის იდგა საქართველოში კინოხელოვნების პოპულარიზაციის საქმის ორგანიზაციული მოწყობის სათავეებთან, მისმა დოკუმენტურმა და სამეცნიერო-პოპულარულმა ფილმებმა „იჩქარეთ სიკეთის კეთება“, „ცით გატაცებული“, „გული“, „მრავალჟამიერ!“, „გამალამაზეთ!“, „სიყვარული“, „ლეგენდის სინამდვილე“ და სხვ. საერთაშორისო კინოფესტივალების პრიზები მოიპოვეს, მაყურებელთა და კრიტიკოსთა მაღალი შეფასება დაიმსახურეს და განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრეს ქართული დოკუმენტური კინოს ისტორიაში.

კრებულში თავმოყრილია ლეო ბაქრაძის კოლეგების, მეგობრების, ახლობლების, მისი გადამღები ჯგუფის წევრების მოგონებები, რომლებიც მომზადდა სხვადასხვა დროს მათთან ჩაწერილი ინტერვიუების და ლეო ბაქრაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტელეგადაცემის ფრაგმენტების საფუძველზე. კრებულის მეორე განაკვეთი ეთმობა წერილს ლეო ბაქრაძის დოკუმენტური პორტრეტების სერიის შესახებ, რომელსაც დართული აქვს რეჟისორის სრული ფილმოგრაფია.

კრებული ილუსტრირებულია კადრებით ლეო ბაქრაძის ფილმებიდან და ფოტოებით მისი პირადი არქივიდან.

პროექტის ავტორი, კრებულის შემდგენელი და რედაქტორი – მარინა კერესელიძე
კორექტორი – მარიამ ასკურავა
დიზაინერი – გვანცა მახათაძე

წიგნი მომზადდა საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი
Georgian National Film Center

დაიბეჭდა სტამბაში MEGA BASIM (სტამბოლი, თურქეთი)

ISBN 978-9941-8-5570-2

© მარინა კერესელიძე, 2023
© მიხეილ ბაქრაძე, 2023

კაცი, რომელიც სიკვდილ კვლება ცხოვრობდა

მოგონებები ლეო ბაქრაძეზე

ელდარ შენგელაია

კინორეჟისორი

ლეო ბაქრაძეს რომ ვიხსენებ და ვფიქრობ, რომელი ადამიანური თვისება განსაზღვრავს მის პიროვნებას, პირველი, რაც თავში მომდის არის სიკეთე.

ლეო ბაქრაძემ თავისი კეთილი საქმეებით ნათელი კვალი დატოვა უამრავი ადამიანის სულში, ხოლო თავისი ფილმებით – ქართულ დოკუმენტურ კინოში.

რეპრესირებული მამის შვილს დალხენილი ბავშვობა და სიყმაწვილე არ ჰქონია. თავისი უნარის, ენერგიის და ნიჭის წყალობით თვითონ გაიკვალა გზა და ბევრს მიაღწია.

ლეო იყო სრულიად უკონფლიქტო, უაღრესად კეთილგანწყობილი და კომფორტული ადამიანი. მასთან ურთიერთობა ადვილი იყო. თვითონაც ნებისმიერი ხასიათის ადამიანთან გამონახავდა საერთო ენას. ეს თვისება ძალიან ეხმარებოდა ყველა წამოწყებაში.

საქმე უყვარდა. ყველაფერი, რასაც ხელს მოჰკიდებდა, უზადოდ და ხარისხიანად უნდა გაკეთებულიყო. მისი სახით საუკეთესო ხელმძღვანელი ჰყავდა კინოპროპაგანდის ბიუროს საქართველოს განყოფილებას და შეუდარებელი დირექტორი – თბილისის კინოს სახლს. მახსოვს, კინოს სახლი რომ იხსნებოდა და ფოიეს და დარბაზს სტუმრების მისაღებად ამზადებდნენ, ლეო, ჩვრით ხელში, დამლაგებლებთან ერთად მუშაობდა, წმენდდა და აპრიალებდა მოაჯირებს...

კინოპროპაგანდის ბიუროშიც და კინოს სახლშიც ლეომ ისეთი გარემო შექმნა, ისე წარმართა ამ ორი ორგანიზაციის საქმიანობა, ისეთი მიღება და მასპინძლობა იცოდა, რომ სტუმრები საბჭოთა

კავშირის ყველა კუთხიდან და უცხოეთიდან საქართველოში მოხვედრას ნატრობდნენ.

მერე ურთულეს საქმეს მოჰკიდა ხელი – დოკუმენტური კინოს რეჟისურას. აქაც ალღომ არ უღალატა, მიაგნო საკუთარ თემას, საოცარ გმირებს, შემოიკრიბა მაღალი კლასის პროფესიონალები და შექმნა ფილმები, რომლებიც 70-80-იანი წლების ქართული დოკუმენტური კინოს მნიშვნელოვან მოვლენად აღიარეს.

როდესაც საბჭოთა კავშირი დაინგრა, კინოს სისტემა ჩამოიშალა და დაფინანსება შეწყდა, ლეო იხტიბარს არ იტეხდა, ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ აუცილებლად იპოვიდა გამოსავალს და უკვე ახალი საქმის წამოწყება ჰქონდა ჩაფიქრებული. მის გარდაცვალებამდე სულ ცოტა ხნით ადრე მოსკოვში ვიყავი, ლეო ვინახულე. არაფერი ეტყობოდა, თავის გეგმებზე მელაპარაკებოდა. ერთ-ერთი სახლის სხვენზე ამიყვანა და მაჩვენა სივრცე, სადაც ხმის ჩამწერი სტუდიის მოწყობას აპირებდა, აპარატურა უკვე ნაყიდი ჰქონდა. ბევრის გაკეთება უნდოდა და შეეძლო კიდეც. არ დასცალდა...

საბედნიეროდ დარჩა მისი კეთილი, ღრმა, ფიქრიანი, ადამიანის უსაზღვრო სიყვარულით გამთბარი დოკუმენტური ფილმები.

მახსოვს, როგორი დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ფილმმა „ცით გატაცებული“ თავისი გულში ჩამწვდომი ადამიანობით და გულწრფელობით, როგორ მოგვხიბლა ყველა მისმა გმირმა – საოცარი ბიოგრაფიის ადამიანმა ალექსი შიუკოვმა, ყოფილმა მფრინავმა, რომელიც მთელი სიცოცხლე თავისი იდეის ერთგული დარჩა, მქნევარა ფრთებიანი საფრენი აპარატი ააგო, რათა კაცობრიობის სანუკვარი ოცნება აესრულებინა...

თვალწინ მიდგას ერთი კადრი ლეოს ფილმიდან „მრავალჟამიერ!“: ძველმა ფოტომ მოსკოვში, ანდრონიკეს მონასტრის მაცხოვრის სახელობის ტაძარში ანდრეი რუბლიოვის მუზეუმის გახსნის ერთი მომენტი შემოინახა – ტაძართან თავი მოუყრია უამრავ ხალხს და ვერავინ ამჩნევს უკანა რიგებში განმარტოებით მდგომ ხანშიშესულ მამაკაცს. ეს დავით არსენიშვილია – რუბლიოვის

მუზეუმის ორგანიზატორი, დამფუძნებელი და პირველი დირექტორი, რომელმაც ანდრონიკეს მონასტერი დანგრევას გადაარჩინა, ათი წელიწადი მის რესტავრაციას მოანდომა, საკუთარი მწირი სახსრებით რუსეთის სხვადასხვა კუთხეში მოძიებული ხატწერის ნიმუშების ძვირფასი კოლექცია შექმნა და მუზეუმს აჩუქა. ქრისტიანული ხელოვნებისადმი ზრუნვას საბჭოთა ხელისუფალნი მაშინ მხარს არ უჭერდნენ და მუზეუმის გახსნადმე ერთი წლით ადრე დავით არსენიშვილი თანამდებობიდან გაათავისუფლეს...

ასეთები არიან ლეო ბაქრაძის ფილმების გმირები – თავისი საქმით გატაცებული პროფესიონალები, რომლებმაც ბევრი სიკეთე მოუტანეს ადამიანებს, ნიჭს და ენერგიას არ იშურებდნენ და შეეძლოთ სიცოხლეც კი გაეღოთ მოყვასის გადასარჩენად. ასეთია ლეგენდარული ექიმი იოსებ ჟორდანია, რომელმაც ავიაკატასტრო-



ფის დროს მაშველი რგოლი უბილეთო მგზავრ გოგონას დაუთმო და თვითონ დაიღუპა. მას უძღვნა ლეო ბაქრაძემ ფილმი „ლეგენდის სინამდვილე“; ფილმში „გული“ მოგვითხრო გამოჩენილი კარდიოქირურგის ვლადიმერ ბურაკოვსკის და მისი გუნდის მიერ საოპერაციო მაგიდასთან თითოეული პაციენტის სიცოცხლისთვის გადატანილ ბრძოლებზე. ამ ფილმში ბევრი ეპიზოდია, რომელსაც აუღელვებლად ვერ უყურებ, მაგრამ განსაკუთრებულია ერთი სცენა, სადაც თვითონ ლეო გატაცებით იწყებს ცეკვას პატარა პაციენტს ღიმილი რომ დაუბრუნოს...

კიდევ სხვა ბევრი კარგი ფილმი აქვს ლეოს – „იჩქარეთ სიკეთის კეთება“, „გამალამაზეთ!“... ეს არის საოცარი ისტორიები ადამიანებზე და ადამიანობაზე, სიკეთეზე, ერთგულებაზე, სიცოცხლის სიყვარულზე. მათი ნახვის შემდეგ არ შეიძლება ცოტა ხნით მაინც არ დაფიქრდე და საკუთარ თავს არ ჰკითხო: რას აკეთებ? რისთვის აკეთებ? რა არის შენი მისია ამ მიწაზე?

შემთხვევითი არ არის, რომ ლეო ბაქრაძის ფილმები დღეს „ვგიკის“ – კინემატგრაფიის სახელმწიფო ინსტიტუტის სასწავლო პროგრამაშია შეტანილი. ახალგაზრდებმა, რომლებსაც სურთ დაეუფლონ დოკუმენტალისტის რთულ პროფესიას, უნდა ისწავლონ ამ სადა, ყოველგვარ ეფექტებს მოკლებულ, მაგრამ ძალიან ემოციურ ფილმებზე, რომლებიც ადამიანის სულის სიძლიერის და სიკეთის გამარჯვების რწმენას ამკვიდრებენ.

2019

კორა წერეთელი

კინომცოდნე

ლეო ბაქრაძესთან მრავალი წლის მეგობრობა მაკავშირებდა. მის სტუმართმოყვარე სახლში – ჯერ თბილისში და შემდეგ მოსკოვში – იკრიბებოდნენ საუკეთესო ადამიანები და ლეო ყველაფერს აკეთებდა, რომ ისინი ერთმანეთთან შეეხვედრებინა. ამ სახლის სული და გული იყო ნათელა – ლეოს მეუღლე, გულღია, თავაზიანი მასპინძელი და დიასახლისი...

ლეომ თავისი გზა დაიწყო როგორც მსახიობმა. რამდენიმე როლი ითამაშა თეატრში, მონაწილეობდა ფილმებში, იყო მხატვრული კითხვის ოსტატი. მაგრამ მისი დაუდგრომელი ბუნება ამ ჩარჩოებში ვერ ეტეოდა. სულ მალე ერთ დიდ საქმეს მოჰკიდა ხელი: იყო ასეთი ორგანიზაცია – „საბჭოთა კინოხელოვნების პროპაგანდის ბიურო“, რომელშიც, ტლანქი სახელწოდების მიუხედავად, ძალიან დიდი საქმე კეთდებოდა. აქ მუშაობდნენ კინოს ჭეშმარიტი ენთუზიასტები. ბიურო პროპაგანდას უწევდა არა მხოლოდ საბჭოთა კინოს, არამედ ახერხებდა მოეპოვებინა და მაყურებლისთვის ეჩვენებინა ყველაფერი საუკეთესო მსოფლიო კინოს ისტორიიდან. ლეო ამ ორგანიზაციის საქართველოს განყოფილების ხელმძღვანელი გახდა, ბრწყინვალედ უძღვებოდა საქმეს, იყო არაჩვეულებრივი ორგანიზატორი. თბილისში თავს იყრიდნენ კინოს მოღვაწენი მსოფლიოს ყველა კუთხიდან. ისინი ჩამოდიდნენ მოსკოვში, მაგრამ მაშინვე მოისწრაფოდნენ საქართველოში, ლეოსთან, იმიტომ, რომ ლეოს უკვე ყველა იცნობდა...

მერე ლეო მოსკოვში წავიდა, სცენარისტთა და რეჟისორთა უმაღლეს კურსებზე. აქ ბედმა შეახვედრა უნიკალურ ადამიანს –

შესანიშნავ სცენარისტს, პედაგოგს ლეონიდ გურევიჩს, მასთან ერთად საოცარი დოკუმენტური ფილმები გააკეთა.

მახსოვს როგორ შეგვძრა მისმა ერთ-ერმა პირველმა ფილმმა „ცით გატაცებული“. იქ არის ისეთი ნოტები, ისეთი ლირიზმი, იქ ისეთი სევდიანი დასასრულია, რომლისგანაც გული გეკუმშება...

ფილმის გმირი ალექსი შიუკოვი (შიუკაშვილი) იშვიათი ბიოგრაფიის მქონე ადამიანია: დაიბადა მე-19 საუკუნის დასასრულს, 1908 წელს განახორციელა ფრენა საკუთარი ხელით დამზადებულ პლანერზე, იყო ორი მსოფილო ომის მონაწილე და პენსიაზე გავიდა, როგორც საბჭოთა სამხედრო-საჰაერო ძალების პოლკოვნიკი... ადვილი წარმოსადგენია რა საინტერესო და „თავისებური“ ფაქტებით



იყო დახუნძლული მისი ხანგრძლივი და მდიდარი ცხოვრება. მაგრამ გმირის ხასიათში ღრმად წვდომის სურვილმა ავტორები უფრო რთულ და საინტერესო გადაწყვეტასთან მიიყვანა: გამომსახველ კინოფოტომონტაჟში მაყურებლის თვალწინ ჩაივლის დროის, ეპოქის და ერთი კონკრეტული ადამიანის ცხოვრების დოკუმენტები. მაგრამ საოცარი ამ ფილმში არის ის, რომ მას გმირის წარსული კი არ განსაზღვრავს, არამედ მისი აწმყო, ის, რაც მის ადამიანურ არსს გამოხატავს. ეს არის მისი გატაცება იდეით, ოცნებით, ეს არის მუდმივი ქმედების, სიცოცხლის დაუოკებელი ვნება... ვნება, რომლის წინაშე უკან იხევს ყველა დაბრკოლება. ყველა, გარდა ერთისა...

ფილმში არის ასეთი ეპიზოდი: აეროდრომი. ალექსი შიუკოვი სრული აღჭურვილობით, მუზარადში, თანამედროვე სპორტული თვითმფრინავის კაბინაში ჯდება. ხელს ჩვეული ჟესტით შტურვალს დაადებს. მანქანა მსუბუქად მოწყდება ადგილს და ცაში აფრინდება. მოულოდნელად კადრი ჩერდება, ხანდაზმული მამაკაცის

ხმა კი მწარე ირონიით აკეთებს კომენტარს: „გგონიათ გამიშვეს? არა. არ გამიშვეს...“ კვლავ თვითმფრინავის კაბინა. შიუკოვი მუზარადს მოიხსნის და ჭაღარას გამოაჩენს. აეროდრომის უკაცრიელ მინდორზე ნელა გვცილდება ადამიანის მარტოხელა ფიგურა. შიუკოვი მძიმე, დაღლილი ნაბიჯით მიაბიჯებს და თავისი ასაკის მკაცრ რეალობასთან მოგვაბრუნებს...

ასე იქცა მოთხრობა ერთი კონკრეტული ადამიანის შესახებ მოთხრობად ზოგადად ადამიანზე, მის არსზე და დანიშნულებაზე. ეს ტენდენცია მკვეთრად იყო გამოხატული ლეო ბაქრაძის წინა ფილმში „იჩქარეთ სიკეთის კეთება“. ამ ფილმებით დაედო სათავე

კინოპორტრეტების არაჩვეულებრივ სერიას, რომელთა შორის არის „გული“, „სიყვარული“, „გამალამაზეთ!“...

არ შემიძლია არ აღვნიშნო ლეო ბაქრაძის ფილმების ერთი უნიკალური თავისებურება: მათ ჰქონდათ შესანიშნავი ბოლოთქმა. ფილმზე მუშაობის დასრულების შემდეგ ლეოს ურთიერთობა თავის გმირებთან არ წყდებოდა. ფილმში „სიყვარული“ მოგვითხრო სომეხ მხატვრ გევორგ გრიგორიანსა („ჯოტოს“) და ქართველ დიანა უკლებაზე, რომელსაც ქმრის გარდაცვალების შემდეგ, 67 წლის ასაკში, მხატვრობის ნიჭი აღმოაჩნდა და მან ქმრის საქმე გააგრძელა... როგორ მოუარა ლეომ ამ ქალს! მოსკოვში გამოფენა მოუწყო, ერევნიდან ყველა ნამუშევარი ჩამოიტანა. ამ ხნის განმავლობაში დიანა მის სახლში ცხოვრობდა...

საოცარი კაცი იყო, მოსიყვარულე და ერთგული მეგობარი. ის არ შორდებოდა ადამიანებს. ყველამ კარგად იცის რამდენი სიცოცხლე გადაარჩინეს კარდიოქირურგმა ვლადიმერ ბურაკოვსკიმ და მისმა გუნდმა ამ მეგობრობის წყალობით. ლეომ მათ უძღვნა ფილმი „გული“, გადაღების დროს დაუმეგობრდა პატარა ბიჭუნას, ყველას უყვებოდა, რომ ოპერაციის შემთხვევაში მას აქვს შანსი – სულ ერთი პროცენტი – რომ გადარჩეს. ფილმში შევიდა საოცარი ეპიზოდი, სადაც ლეო ცეკვავს, ლამის ყირაზე დგება, ოღონდ ამ ბავშმა გაიღიმოს...

ის დაუდგრომელი იყო საქმეში, დაუნდობელი საკუთარი თავის მიმართ. თუკი რამე იდეა გაიტაცებდა, ყველას გადასდებდა...

მის ფილმებს ყავლი არასოდეს გაუვა, იმიტომ, რომ ყავლგაუვალია თვით იდეა – „იჩქარეთ სიკეთის კეთება“. ეს იყო ლეო ბაქრაძის შემოქმედების მთავარი თემა.

ის თვითონ ჩქარობდა ეკეთებინა სიკეთე და ეძებდა ადამიანებს, რომლებიც სიკეთეს აკეთებდნენ.

1996

ლეონიდ გურევიჩი

კინოდრამატურგი, კრიტიკოსი

ლეო ბაქრაძემ და მე გვერდიგვერდ 12 წელი გავატარეთ და ერთად 12 ფილმი გადავიღეთ.

ყველაფერი დაიწყო მისი სტუდენტობის დროინდელი ფილმით „იჩქარეთ სიკეთის კეთება“.

მე ლექციებს ვკითხულობდი იმ კურსზე, რომელზეც ლეო სწავლობდა და ერთხელ დაუფიქრებლად ვთქვი, თუ კარგი გმირი გყავთ, ჩათვალეთ, რომ კარგი ფილმი გაქვთ-მეთქი.

ლექციის შემდეგ ჩემთან მოვიდა ლამაზი ქართველი ახალგაზრდა და მითხრა: – ლეონიდ აბრამოვიჩ, კარგი გმირი მყავს, მაგრამ ფილმი არა მაქვსო. – მოდი, ერთად ვცადოთ-მეთქი, – ვუთხარი. – მოდით, ვცადოთო, – მიპასუხა და იქვე მკითხა: – იცით რა არის კარგი ქართული სამზარეულო? – რაღაც წარმოდგენა მაქვს-მეთქი, – ვუპასუხე. – უკეთ ჩემს სამზარეულოში გაიგებთო.

ასე დავიწყეთ მუშაობა ფილმზე „იჩქარეთ სიკეთის კეთება“, რომლის გმირი იყო მართლაც საოცარი ადამიანი – ონკოქირურგი გიორგი სვეტ-მოლდავსკი. ის სიმსივნური უჯრედის საიდუმლოს ამოხსნას ცდილობდა, თავადაც ავად იყო უკურნებელი სენით და ექსპერიმენტებს საკუთრ თავზე ატარებდა. ლეოს გულწრფელად სწამდა, რომ ჩვენ ამ ადამიანს სიცოცხლის გადარჩენაში დავეხმარებოდით...

ლეო ბევრს მიამბობდა თავის ბავშვობაზე. მამამისი – პეტრე ილარიონის ძე ბაქრაძე მეტყევე ყოფილა, საიმპერატორო სატყეო ინსტიტუტი – ყოფილი სატყეო აკადემია დაუმთავრებია. იცავდა ტყეებს აბასთუმნის მთებში – მშვენიერ ტყეებს, რომლებსაც პატიმ-

რებს აჩეხინებდნენ. ის პასუხისმგებელი იყო იმაზე, რომ ამ ადამიანებს ელემენტარული საკვები მაინც ჰქონოდათ, და თუკი ლეოს და დალის დედა შებედავდა, შვილებისთვის განჯინაში ჩაკეტილი პურის ნამცეცები მაინც გაიმეტეო, ბატონი პეტრესგან დიდი რისხვა არ ასცდებოდა, რადგან პური სხვისი იყო და მისი ხელის ხლება არ შეიძლებოდა... და, ლეო დილაობით მთის ძირში, 15 ვერსტის მანძილზე მდებარე მაღაზიაში ჩარბოდა, რომ პური ეყიდა, მაშინ, როდესაც განჯინაში პური იდო...

ლეო ბაქრაძე და კინოდრამატურგი ლეონიდ გურევიჩი

და აი, ეს უპატიოსნესი კაცი – ბატონი პეტრე – დააპატიმრეს. დააპატიმრეს ცილისწამების საფუძველზე. ოჯახი უფულოდ და ულუკმაპუროდ დარჩა... მოულოდნელად სხვადასხვა მისამართებიდან ოჯახმა დაიწო ფულადი გზავნილების მიღება. როგორც გამოირკვა, ფულს ბატონი პეტრეს თანაკურსელი მეგობრები აგზავნიდნენ. გზავნილები უსახელო იყო, მაგრამ ქვითარზე მისამართი ეწერა. ლეო ამ ქვითრებს კონვერტიდან ახევდა და ინახავდა. ცოტა ფული რომ გაუჩნდა, ამ მისამართებზე დადიოდა და თანხას უტო-

ვებდა მათ, ვინც მის ოჯახს თავის გატანაში დაეხმარა, როდესაც მამა დაუპატიმრეს...

მოდი ამაზე სცენარი დავწეროთ, ეს ხომ ნამდვილი კინოა-მეთქი, ვუთხარი ერთხელ ლეოს. არაფერი გამოვიდა. უკვე ავად იყო, იწვა, იცოდა, რომ ეს დასასრულია, მაგრამ ცდილობდა ამაზე არ ეფიქრა. ჩემის მხრივ, მეც ვცილობდი რამით დამეკავებინა, ვთხოვდი, დაჯექი და ეს ისტორია დაწერე. კალამი არ მიჭრის და როგორ დავწერო, აქ სიტყვის ფლობაა საჭირო, მეუბნებოდა. აქ ამბავია საჭირო, დანარჩენს ეშველება-მეთქი, ვაქეზებდი... კარგი, დავფიქრდებიო, მამშვიდებდა...

ვფიქრობ, იმ საოცარი ამბიდან ამოიზარდა მორჩი სიკეთისა, რომლითაც სავსე იყო ყველაფერი, რასაც ლეო აკეთებდა...

1996

ირაკლი კვირიკაძე

კინორეჟისორი, სცენარისტი

ლეო ბაქრაძეს ვიცნობდი როგორც თბილისის კინოს სახლის დირექტორს, რომელიც უმაღლეს სასცენარო და სარეჟისორო კურსებზე სასწავლებლად წავიდა. იქ ბევრი ქართველი სწავლობდა, კინოს გადაღება საქართველოში მოდაში იყო.

ცოდვა გამხელილი სჯობს – მქონდა იმის განცდა, რომ კინოს სახლის დირექტორი რაღაცას მოდურს გამოეკიდა... და, მოულოდნელად, ამ ადამიანმა გვაჩუქა სრულიად ფანტასტიკური ფილმი – „ცით გატაცებული“.

კარგად მახსოვს ის დღე ძველი სტუდიის პატარა დარბაზში, რომელსაც, რატომღაც, „სამთავრობო დარბაზს“ ეძახდნენ, „ცით გატაცებულის“ გასინჯვაზე რომ მიგვიწვიეს. დარბაზში ცოტა არ იყო მსუბუქი ირონიული ღიმილით შევედი და... თავს დამატყდა გრანდიოზული ფილმი, რომელმაც შემძრა თავისი სინაღდით და გულშიჩამწვდომი უშუალობით, ელვასავით დამიარა და მომაჯადოვა. თვალს ვერ ვწყვეტდი ამბავს ამ პატარა ადამიანისა, მეოცნებე შერეკილისა, რომელიც ფრენის დაუოკებელი ვნებით იყო შეპყრობილი და მთელი ცხოვრების მანძილზე თავისი იდეის ერთგული დარჩა...

ბედნიერი ვარ, რომ ჩემი ეჭვი არ გამართლდა. მას შემდეგ ლეოს ფილმების თაყვანისმცემელი და აღფრთოვანებული მაყურებელი გავხდი.

ლეომ თავის უნიკალურ ფილმებში შემოგვინახა არაჩვეულებრივი ისტორიები ჩვეულებრივ ადამიანებზე, რომლებსაც თავიანთი ცხოვრების გზაზე სიკეთის კეთება ეჩქარებოდათ.

1996

ოლგა ტროფიმოვა

მონტაჟის რეჟისორი

ლეოს ფილმზე „ცით გატაცებული“ კინორეჟისორ რომან კარმენის სიცოცხლის ბოლო წელს ვმუშაობდით. ლეოს ძალიან უნდოდა, რომ კარმენს ჩვენი ფილმი ენახა. ვაჩვენე. უნდა გითხრათ, რომ კარმენს კეთილად შეშურდა მისი, თქვა, ჩვენ ასე ვერ ვაკეთებდითო. ჩვენი ფილმები იყო პუბლიცისტიკა, მაგრამ ასეთი ლირიზმი, ასეთი სულში ჩამწვდომი ჟღერადობა, ასეთი პიროვნულობა ჩვენთვის მიუწვდომელი იყოო...

ფილმში „ცით გატაცებული“ არ იყო ტექსტი, მუსიკა, გაწმენდილ-გასუფთავებული ხმოვანი რიგი. კარმენს სწორედ ის „ცხოვრების ხმაური“ მოეწონა, რომელიც ახლდა გამოსახულებას...

ლეო ბაქრაძესთან მუშაობა იყო დიდი ბედნიერება. ყველანი თავს კომფორტულად ვგრძნობდით, მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ შეუძლებელს ითხოვდა. არც საკუთარ თავს ინდობდა. „რადაც არ უნდა დაგიჯდეთ...“ არ იყო განყენებული ფრაზა. თუ საქმეს სჭირდებოდა, ყველაფერი უნდა გეღონა. რაც არ უნდა გეთქვა მიზეზად, ლეოსთან არაფერი არ ჭრიდა.

ადამიანები, რომლებიც მასთან მუშაობდნენ – სცენარისტები, ოპერატორები, ხმის რეჟისორები, ასისტენტები, მძღოლი და სხვა, არ იყვნენ მისთვის უბრალოდ ჯგუფის წევრები. ეს იყო ოჯახი, რომელსაც ზრუნვას არ აკლებდა. მისთვის მთავარი იყო გვერდით ჰყოლოდა არა მხოლოდ კარგი პროფესიონალები, არამედ ადამიანები, რომლებსაც დაეყრდნობოდა, რომლებიც ზურგს გაუმაგრებდნენ. თვითონ გვაძლევდა ამ უღალატობის მაგალითს...

1996

ლეო ბაქრაძე კინორეჟისორ რომან კარმენთან და გადამღები ჯგუფის წევრებთან ერთად ფილმის „საერთო რწმენა“ გადაღებაზე, 1976

პაველ სირკესი

სცენარისტი

... ლეო ბაქრაძემ დოკუმენტურ კინოში სრულიად ახალი ჟანრები აღმოაჩინა. მაგალითად, „გამალამაზეთ!“ დოკუმენტური კომედიაა, „ადამიანი ოჩამჩირედან“ – ლირიკული დრამა კომედიის ელემენტებით... ის თავისუფლად არღვევდა ყველა კანონს. მისი ფილმები სწორედ ამით არის გამორჩეული.

მისთვის მთავარი იყო საქმის კეთება. მთავარი იყო მატერიალური შედეგი. რამეს რომ დაიწყებდა, ბოლომდე უნდა მიეყვანა. თუ საჭირო იყო ფილმის გატანა, რაღაცის შოვნა, რაიმე გაუგონარის ორგანიზება – ამაში ლეოს ბადალი არ ჰყავდა.

ის ბუნებით იყო შემოქმედი, აღმშენებელი. უნდა იცხოვრო მიწიერი შრომით – ეს იყო მისი პრინციპი.

ზღვის პირას, სოფელ გუდავაში აგარაკი ჰქონდა. იქ ააშენა ბოსელი, საიდანღაც კოსტრომული ჯიშის ხარი და დეკეული ჩამოიყვანა. მოწველაც ისწავლა, თუმცა ფერმაში ავტოსაწველიც ჰქონდა და ათასგვარი სხვა მოწყობილობაც. იქვე ააშენა შესანიშნავი საფრინველე. ამბობდა: – წარმოგინდგენია, წიწილები გამოიჩეკებიან, ხალხს ახალ ქათმის ხორცს ვაჭმევთო... სულ რაღაცის წარმოება უნდოდა...

კინოს სიყვარული კიდევ სხვა რამ იყო. „ნუ გეშინია, რამეს მოვიფიქრებთ, არ დავიკარგებით“ – მამხნევებდა, როდესაც კინოს ახალი დროება დაუდგა.

ის პროდიუსერად იყო დაბადებული. მისი ეს ნიჭი გამომჟღავნდა დიდი ხნით ადრე, ვიდრე ჩვენს კინემატოგრაფში პროდიუსერის პროფესიაზე ალაპარაკდებოდნენ...

1996

ლეო ბაქრაძე
კინოოპერატორ
გენადი მიაკიშევთან
ერთად, 1981

გურანდა გაბუნია

მსახიობი

ლეო და ნათელა ჩემი უახლოესი ადამიანები იყვნენ. ნათესავებს შორისაც არ მყავდა მათზე ახლობელი. ძალიან ვამაყობ მათთან მეგობრობით და სიახლოვით. ორივე ბედის უძვირფასისი საჩუქარი იყო ჩემთვის.

ნათელა რომ გავიცანი, დასავით მიმიღო და დამიახლოვა. ოთარი რომ გადაღებაზე მიდიოდა, მასთან ვრჩებოდი, ფეხმძიმედ რომ ვიყავი, მათთან ვცხოვრობდი. ჩვენი ქალიშვილი მარიამი რომ დაიბადა, ნათელა მისი ნათლია გახდა. ცოტა რომ წამოიზარდა, ლეო შინ ფოტოაპარატით მოგვადგა და დიდი ფოტოსესია მოაწყო. ლეო რომ არა, ჩემი შვილის ბავშვობისდროინდელი ერთი ფოტოსურათიც არ მექნებოდა.

მარიამი 10 წლის იქნებოდა, როდესაც მოსკოვში ჩავიყვანე. ლეომ 12 დღით შვებულება აიღო, რომ თეატრებში, მუზეუმებში და გამოფენებზე ვეტარებინეთ. ყველა სიახლეს გვაზიარა. ადამიანებისთვის დღესასწაულების მოწყობა მისი მოწოდება იყო.

იცოდა, რომ ძალიან გვიჭირდა. არტისტები დალხენილები არასოდეს ვყოფილვართ. თვითონაც ჰქონდა გამოვლილი გაჭირვება და ცდილობდა ჩვენთვის ხელი გაემართა, მაგრამ ამას ისე ძალდაუტანებლად და ლამაზად აკეთებდა, რომ არ შეგემჩნია. როდესაც კინოპროპაგანდის ბიუროს დირექტორი იყო, მთელს საქართველოში მაყურებლებთან შეხვედრებს გვიწყობდა, ჩვენი მონაწილეობით კინოკონცერტებს მართავდა...

მახსოვს ერთი ასეთი დიდი კინოკონცერტი სპორტის სასახლეში მოაწყო. იმ წელს მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების 20 წლისთავი

აღინიშნებოდა. ლეომაც კონცერტი ამ თარიღს მიუძღვნა და მასში მონაწილეობის მისაღებად ქართული კინოსა და თეატრის უამრავი მსახიობი მოიწვია. კონცერტს მე და ოთარი ვუძღვებოდით. დარბაზი გადაჭედილი იყო მაყურებლით. დღესაც ზეპირად მახსოვს ლექსი, რომელსაც მე ვკითხულობდი:

დრო გარბის ცრემლში გამოთხოვების
და ერთხელ თვალის მოკვრის სურვილში,
ცოტა ალერსი დანატოვები,
თურმე, ბევრს ნიშნავს სიყვარულისთვის.
დრო გარბის და დროს ეწევა ტყვია,
მოულოდნელად ჩერდება გული,
ჩამქრალ თვალებში არყის ხის ტრიალს,
ყველაზე ადრე იგებს მამული.

ეს ლექსი ლეომ დაწერა. არ ვიცი მანამდე ან მერე ლექსები თუ დაუწერია. არც მიკითხავს, მაინც არ მიპასუხებდა. ამ ლექსს რომ ვკითხულობდი, ეკრანზე მიდიოდა სცენა მიხეილ კალატოზოვის ფილმიდან „მიფრინავენ წეროები“ – როდესაც ფილმის გმირი კვდება, კამერა არყის ხეების კენწეროების ირგვლივ ტრიალებს. ძალიან შთამბეჭდავი იყო.

ყველაფერში ნიჭიერი იყო. ყველაფერი შეეძლო. იყო შეუდარებელი ორგანიზატორი. ყველას გვახსოვს რა ხდებოდა კინოს სახლში, როდესაც ლეო მისი დირექტორი იყო, რა ფილმები ჩამოჰქონდა, როგორ დღესასწაულებს გვიწყობდა. თბილისში სტუმრად მსახიობები რომ ჩამოდიოდნენ, საოცრებებს აკეთებდა, ღირსეული მასპინძლობა რომ გაეწია.

ლეოს სახლში გავიცანი ანდრეი ტარკოვსკი. როდესაც მოსკოვში ლოურენს ოლივიე ჩამოვიდა, ლეომ იზრუნა, რომ მე და ოთარს მისი „ოტელო“ გვენახა და სპექტაკლის შემდეგ „მსახიობის სახლში“ მასთან შეხვედრას დავსწრებოდით.

ის ადამიანებს ერთმანეთს ახვედრებდა. განსაკუთრებით უყვარდა, როდესაც ნაცნობ-მეგობრებს თავს სუფრის ირგვლივ მოუყრიდა. ასეთ თავყრილობებზე, რომელთა მოთავე თვითონ იყო, ხშირად უთქვამს, – ჩემს პერსონას ყურადღებას ნუ მიაქცევთ, თქვენ დატკბით ერთმანეთით და ამით გამახარეთო.

ძალიან მიყვარდა ლეოს და ნათელას ბინა მოსკოვში, ვოროვსკის ქუჩაზე, რომლის კარზე ლეო გააკეთა წარწერა: Hotel „Leo“. ეს კარი ყოველთვის ღია იყო სტუმრებისთვის.

ცენტრში – კინორეჟისორები ლევ კულიჯანოვი და მიხეილ კალატოზოვი

ოთარისგან ვიცი, ინსტიტუტის სპექტაკლში „ძველი ვოდევილები“ ისე ითამაშა ავეტიკა, მსახიობობას რომ გაჰყოლოდა, ისეთივე ბრწყინვალე მსახიობი იქნებოდა, როგორც რამაზ ჩხიკვაძე. ამას რომ ვახსენებდით, სიტყვას ბანზე გვიგდებდა, თავიდან გვიცილებდა.

თავისი საქმე უნდოდა და ეს საქმე გახდა მისი შესანიშნავი დოკუმენტური ფილმები სიკეთეზე და ადამიანის მიმართ სიყვარულზე. ეს სიკეთე მასში იყო. ის სიკეთის საკეთებლად იყო დაბადებული. ასეთი ადამიანები, სამწუხაროდ, აღარ არიან...

არაჩვეულებრივი და ჰყავდა – დალი, ჩვენი სასიქადულო მხატვრის, ვახტანგ ონიანის მეუღლე. რადიოს დიქტორი იყო, დაბალი, სასიამოვნო ხმა ჰქონდა. ულამაზესი გოგო იყო. ავად რომ გახდა, ლეო ძალიან განიცდიდა, ხედავდა როგორ ნელ-ნელა დნებოდა.

1990-იანი წლების დასაწყისში მოსკოვში ჩავედი და პირველ რიგში ლეოს და ნათელას დავურეკე. ყურმილში ლეოს დასუსტებული ხმა გავიგონე:

– გურანდა, როგორ იგრძენი?

აღმოჩნდა, რომ კიბო აქვს – ის, რისიც ყველაზე მეტად ეშინოდა. გიჟივით მივქანდი. იწვა, ყელი ჩემი ნაჩუქარი შარფით ჰქონდა შებურული.

ძალიან ადრე წავიდა და თავისი წასვლით ყველა დაგვაობლა. ლეოს გარეშე ნათელა ვერ იცოცხლებდა...

გამორჩეული პიროვნებები იყვნენ, საოცრად ავსებდნენ ერთმანეთს.

მადლობელი ვარ ყოველი დღის, ყოველი წუთის, რომელიც მათ გვერდით გავატარე.

2015

ქეთი დოლიძე

რეჟისორი

ლეო ბაქრაძე ბიძად მეკუთვნოდა, მას ცოლად ჰყავდა ჩემი უსაყვარლესი მამიდა ნათელა თოხაძე, დედით მუსხელიშვილი. სულ ახალგაზრდა მსახიობი იყო, ჩვენი ოჯახის წევრი რომ გახდა. რამაზ ჩხიკვაძესთან ერთად სწავლობდა. მამა ამბობდა, სამსახიობო კარიერას რომ გაჰყოლოდა, ლეო დიდი მსახიობი იქნებოდაო. მაგრამ მან სხვა გზა აირჩია, ალბათ იმიტომ, რომ მოწოდებით იყო ორგანიზატორი, საზოგადო მოღვაწე.

ძალიან დიდი ნაცნობ-მეგობრების წრე ჰყავდა საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც. ამ კონტაქტებს ის იყენებდა, კარგი გაგებით, კეთილი საქმის გასაკეთებლად, ადამიანთა დასახმარებლად. და არ იყო შემთხვევითი, რომ როდესაც კინემატოგრაფისტთა კავშირთან კინოს სახლი გაიხსნა, მის დირექტორად მამამ ლეო დანიშნა, ამბობდა, ლეოს ალტერნატივა არა ჰყავსო. სიკო დოლიძეს ჰქონდა ეს უნიკალური თვისება, ადამიანის ღირსებები დაენახა.

1960-იან წლებში ძალიან დიდი მოვლენა გახდა მოსკოვის საერთაშორისო კინოფესტივალი. საბჭოთა ხელისუფალნი მას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ – მთელი მსოფლიოს თვალში საბჭოთა კავშირის თითქოს ყველა კარი გაიღო და აღარაფერი იყო აკრძალული. კინოფესტივალი რომ მთავრდებოდა, საუკეთესო დელეგაციებს მამა მოსკოვიდან თბილისში ამგზავრებდა. და ყოველთვის იყო შეხლა-შემოხლა და კამათი, როგორ ახერხებს საქართველო, რომ ყველაზე სახელოვანი სტუმრები იქ მიდიანო. ამას მამა და ლეო ახერხებდნენ. საოცარი უნარი ჰქონდათ სტუმრების

ლეო ბაქრაძე, კინორეჟისორი ოთარ იოსელიანი და
შვედი მსახიობი ბიბი ანდერსონი

დახვედრის, იცოდნენ როგორ უნდა უმასპინძლო, რა უნდა აჩვენო, როგორ უნდა შეაყვარო შენი ქვეყანა... იმ დროს ეს ძალიან რთული იყო, ყველაფერს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი განაგებდა, ყველაგან დაგყვებოდა აქაური ან მოსკოვიდან მოვლენილი „კურატორი“... მაგრამ ეს არასოდეს ყოფილა პრობლემა კინემატოგრაფისტთა კავშირში და კინოს სახლში, იმიტომ, რომ მასპინძლები ამას ლამაზად ფუთავდნენ და სტუმრებისთვის ამგვარი „მეურვეობა“ შეუმჩნეველი იყო.

მახსოვს, ერთხელ მამამ მოსკოვიდან ლეოს დაურეკა:

ქართველი კინემატოგრაფისტების სტუმარია იტალიელი კინომსახიობი ვიტორიო გასმანი. მარჯვნივ – კინორეჟისორი დავით რონდელი

– აქ ჩამოვიდა უდიდესი იტალიელი მსახიობი ვიტორიო გასმანი. თან ახლავს ჯგუფი. ახლა მათ საქართველოში ვამგზავრებ. მე აქ სესიაზე ვრჩები და, აბა შენ იცი, როგორ დახვდები.

ლეომ საარაკო მიღება გაუმართა და უნდა გენახათ, როგორი გაგიჟებული წავიდა აქედან ვიტორიო გასმანი. ყველაფერი ლეოს სახლში ხდებოდა და ეს, რა თქმა უნდა, იყო მამიდაჩემის დიდი დამსახურება. ულამაზესი სუფრა გაიშალა, ლეომ, საგანგებოდ, თავისი უახლოესი მეგობარი ინოლა გურგულია მოიწვია. მახსოვს რა დაემართა ვიტორიო გასმანს, როდესაც ინოლამ სიმღერა დაიწყო. საღამო რომ დამთავრდა, ინოლას ლამის ემუდარებოდა, მინდა იტალიაში წაგიყვანოთ და მთელი იტალია მოგატაროთო. ლეოსაც ეპატიჟებოდა, როგორც მასპინძელს, მაგრამ ან ინოლას ან ლეოს აბა ვინ გაუშვებდა?!

1970-იანი წლების დასაწყისში საქართველოში პოლიტიკური ვითარება ისე შეიცვალა, რომ ლეო იძულებული გახდა მოსკოვში წასულიყო. იქ უმაღლესი სარეჟისორო კურსები დაამთავრა და, 40 წელს გადაცილებულმა, ხელი მოჰკიდა დოკუმენტალისტიკას.

ლეოს ყველა ფილმი არის საოცრად კეთილი, საოცრად მიზანმიმართული იმისთვის, რომ ადამიანი შეგაყვაროს. მას ეს უნიკალური თვისება ჰქონდა და გული მწყდება, რომ ძალიან ადრე წავიდა. ბევრის გაკეთება შეეძლო და არ დასცალდა.

ლეოს და ნათელას სახლი ყოველთვის ღია იყო მეგობრებისთვის – ქართველებისთვის, უცხოელებისთვის. როცა გამიჭირდებოდა, დავურეკავდი ხოლმე და მაშინვე მეტყოდა:

– მოდი და შენი სტუმრებიც აქ მოიყვანე.

ნათელაც დატრილდებოდა... აქ იყო ქართული კერა. ვოროვსკის ქუჩაზე (დღევანდელი პოვორსკაია), კინოს სახლთან ახლოს ჰქონდათ ბინა და ყველა იქ მიდიოდა. ეს იყო ნამდვილი მექა ქართველებისთვის. იქ გარდაიცვალა...

ძალიან დამაკლდა ლეო, მიუხედვად იმისა, რომ მოსკოვში იშვიათად ჩავდიოდი და ხშირად არ ვხედავდი. ძალიან დიდი მეგობარი დავკარგე...

ლეოს ვაჟს – მიშას მამის ნიჭი გამოჰყვა. სამწუხაროდ, დოკუმენტურ კინოს ბოლომდე არ გაჰყვა, თუმცა მისი რამდენიმე ფილმი იყო საწინდარი იმისა, რომ მიშა ბაქრაძე სერიოზული დოკუმენტალისტი გამხდაროყო. მაგრამ მიშას ყველა ის თვისება აქვს, რომელიც მის მშობლებს ჰქონდათ – ისეთივე პურ-მარილიანია, ისევე გადაყოლილია მეგობრებს, ნათესავებს. რესტორატორობას მიჰყო ხელი, პატარა კაფეები და რესტორნები გახსნა. მოსკოვში კაფეს „ილარიონი“ დაარქვა, თბილისში – „სესილია“. ორივე მოსკოველების და თბილისელების საყვარელი ადგილია. ესეც დიდი ნიჭია. ის აძლევს ადამიანებს ერთად ყოფნის საშუალებას და უქმნის გარემოს. ასეთი გარემოს შექმნის დიდი ნიჭი ჰქონდათ ლეოს და ნათელას.

ეს იყო ძალიან კოლორიტული, ლამაზი წყვილი. თვალუწვდენელია სია იმ ადამიანებისა, რომლებსაც ლეო და ნათელა დაეხმარნენ. ლეო ყველაფერს უჩუმრად, მსუბუქად უკეთებდა ნაცნობებს და უცნობებს. ბევრი სიკეთე გაუკეთებია, ისეთი საქმეები მოუგვარებია, რასაც ბევრი ძლიერი ამა ქვეყნისა ვერ მოახერხებდა. გულგრილად ვერ უყურებდა ცუდ გუნებაზე მყოფ ადამიანს, ცდილობდა გაეხალისებინა. საოცარი იუმორის გრძნობა ჰქონდა, კეთილი ირონიით უყურებდა ყველაფერს. ეს იყო მისი გამორჩეული თვისება...

2015

ლანა ღოღობერიძე

კინორეჟისორი

დრომ კიდევ უფრო ნათლად დაგვანახა, რამდენად განსაკუთრებული ადამიანი იყო ლეო.

მაინც, ალბათ, მისი მთავარი თვისება სიცოცხლის დაუოკებელი ჟინი იყო – აქედან მოდის მისი აქტიურობა, დინამიზმი...

მარად მბორგავი, მშფოთვარე, დაუდგრომელი, მოუსვენარი, მუდამ საქმის მკეთებელი ლეო. ისე ირგებდა სიცოცხლის ყოველ წამს, თითქოს ის უკანასკნელი იყო მისთვის. სადაც მივიდოდა, ყველაფერს თავისი პიროვნულობის დაღს ასვამდა. ასე გადააქცია ისეთი უსახური წარმონაქმნი, როგორც „საბჭოთა კინოს პროპაგანდის ბიურო“ იყო, ცოცხალ, მოქმედ, მხიარულ ორგანიზაციად, სადაც ვიკრიბებოდით კულტურის სხვადასხვა სფეროში მომუშავე ადამიანები ერთმანეთთან შესახვედრად, ახალი უცხოური ფილმის სანახავად და საჭირბოროტო საკითხებზე სალაპარაკოდ და საითაც სიხარულით მოისწრაფოდნენ კინოს გამოჩენილი მოღვაწეები სხვადასხვა ქვეყნებიდან. ორგანიზაციად, სადაც უბრალოდ ჩქეფდა სიცოცხლე.

მერე იგივე, და უფრო დიდი მასშტაბით, მოხდა კინოს სახლშიც. ლეოს ხელში ის უცებ ჩვენი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. ყველა ახალი ქართული ფილმის პრემიერა, რომელიც მაშინვე ხდებოდა მოვლენა კინოსივრცეში, ფილმების სახალხო გარჩევები, აზრთა შეხლა-შემოხლა. უცხოეთიდან ჩამოტანილი ახალი ფილმები, მოულოდნელი საინტერესო შეხვედრები... ეს ნამდვილი კინოცხოვრება იყო (რაც ასე გვაკლია დღეს).

მერე – პირადად ჩემთვის – დადგა მოსკოვის ეტაპი. ლეოს და ნათელას საოცარი სახლი ვოროვსკის ქუჩაზე, სადაც მრავალი წლის მანძილზე ვჩერდებოდი მოსკოვში ყოფნის დროს. ამ სახლის ხიბლი იყო ნათელა, ცნობილი თავისი განსაკუთრებული ელეგანტურობით და სილამაზით, სახლში, მუდმივი თავის ტკივილების გამო, იმერელი ქალივით თავწაკრული და მაინც მუდამ გამზადებული ლეოს ზარისთვის და მისი აურაცხელი სტუმრების – ქართველების თუ უცხოელების – გულღიად და სიხარულით მიღებისთვის. ჩემი შვილები დღესაც უდიდესი სინაზით იხსენებენ ამ სახლს, სადაც მათ, სულ პატარებს, ლეოც და ნათელაც ხვდებოდნენ ისე, თითქოს მათზე ძვირფასი სტუმარი არასოდეს ჰყოლიათ და სადაც ყოველთვის ხვდებოდათ თითქოს საგანგებოდ მათთვის გამზადებული რაღაც, განსაკუთრებით გემრიელი და უჩვეულო.

და უცებ, ამ დინამიკური ცხოვრების მერე, ლეომ, ორმოცს გადაცილებულმა, გადაწყვიტა სწავლის დაწყება მოსკოვის სარეჟისორო და სასცენარო კურსებზე. ეს მართლაც უჩვეულო არჩევანი იყო ამ თითქოს სრულიად დაღვინებული კაცისთვის, არჩევანი, რომელმაც გამოამჟღავნა ლეოს ბუნების კიდევ ერთი წახნაგი – მუდმივი სწრაფვა ახლისა და უცნობისაკენ.

და ბოლოს, ლეოს ფილმები!

უნდა გამოგიტყდეთ, რომ ეს ჩემთვის სრული მოულოდნელობა იყო. თითქოს ამ ფილმებში პირველად დავინახე სხვა ლეო, მისი ნამდვილი ბუნება. უეცრად მივხვდი, რამდენ სინაზეს და სულიერ სიფაქიზეს იტევდა ეს გარეგნულად ასეთი აქტიური, მარად მოქმედი კაცი. სინამდვილეში მას თურმე სულ სხვა ადამიანები უყვარდა, ისინი, ვინც ჩუმად და სხვებისთვის შეუმჩნევლად აკეთებდნენ თავის საქმეს, ვისაც ჰქონდათ ოცნება და მთელ ცხოვრებას ამ ოცნებას სწირავდნენ.

შეწირულები, განმარტოებულნი და მარტოსულნი.

აი ასეთი, ყველასაგან განმარტოებული და თავის თავში ჩაღრმავებული ლეო დავინახე, როდესაც ვნახე „ცით გატაცებული“. ფილმი, რომელიც მან 48 წლის ასაკში გადაიღო. ეს განცდა კიდევ უფრო გამიღრმავდა მისი „მრავალჟამიერის“ ნახვისას.

და მაინც, რა იყო ლეოს ნამდვილი სახე?

მარად ხალხის შუაგულში მყოფი, კონკრეტული მიზნის მისაღწევად მებრძოლი, აქტიური, მუდამ საქმეზე და რეზულტატზე ორიენტირებული ადამიანი, შესანიშნავი ორგანიზატორი... ამაზე მთელი მისი ცხოვრება მიანიშნებს. სულ ახალგაზრდობაში ამხანაგობის თავმჯდომარე გახდა და „წითელი პარტიზნების“ ქუჩაზე სახლი ააშენა, – სრულიად უჩვეულო აქტივობა იმდროინდელ საზოგადოებაში, რისთვისაც მას „საქმოსანიც“ შეერქვა. მერე გუდავაში ფერმა გააშენა და თავისი მეურნეობა შექმნა. წლების მანძილზე კინოს პროპაგანდის ბიუროს და კინოს სახლის უბადლო თავკაცი იყო, მუდამ ხალხით გარშემორტუმული და მებრძოლი.

თუ: საკუთარ თავში ჩაღრმავებული მეოცნებე? ვინც იცის მარტოობის ფასი? აქ ისევ და ისევ მახსენდება კადრები ფილმებიდან „ცით გატაცებული“ და „მრავალჟამიერ!“: ადამიანი, რომელმაც კაცობრიობის საუკუნოვანი ოცნება განახორციელა და საკუთარი ხელით ააგო ფრთებიანი აპარატი, ბოლოს ვეღარ გაფრინდა. და მე ვფიქრობ, მარტო ასაკის გამო არა, არამედ იმიტომაც, რომ ცხოვრებაში ოცნება უფრო ხშირად იმსხვრევა. და მეორე გმირი, რომელმაც მთელი ცხოვრება შესწირა მუზეუმის დაარსებას და ხატების კოლექიის შექმნას, მუზეუმის გახსნის დღეს დგას ბოლო რიგებში, ბრბოში ჩაკარგული და ყველასაგან მივიწყებული.

და მე ვფიქრობ: რომელია ლეოს ნამდვილი სახე?

თუ ადამიანის ბუნების სირთულეს გავითვალისწინებთ, ალბათ, ორივე.

ჩემთვის კი ის, მეორე – მარტოსული, სევდიანი და მეოცნებე – უფრო ძვირფასია. ალბათ იმიტომ, რომ, საბოლოოდ, ყველა მარტო ვრჩებით. მარტო ყოველი ცალკეული ადამიანის აღსასრულის თუ სიცოცხლის მარადისობის წინაშე.

ეს ეგზისტენციალური მარტოობაა.

ლეოც მარტო დარჩა სიკვდილის წინაშე. და მასთან ვერაფერი გააწყო, ვერც აქტივობით და ვერც ბრძოლის უნარით...

2020

ფოტოსინჯების ალბომიდან. 1950-იანი წლები

კადრები ფილმიდან „ჭრიჭინა“ (რეჟისორები სიკო დოლიძე ლევან ხოტივარი, 1954).
მარინე ფერაძე – ლიანა ასათიანი, ლევანი – ლეო ბაქრაძე

კადრი ფილმიდან „ეთერის სიმღერა“ (რეჟისორი სიკო დოლიძე, 1956).
დიმიტრი არაყიშვილი – ლეო ბაქრაძე, ქეთევანი – ლიანა ასათიანი.

გიული დარახველიძე

მუსიკოსი

ლეო ბაქრაძესთან დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებდა. ერთხანს ჩემი მოწაფეც კი იყო. ჩვენს ახალგაზრდობაში გიტარაზე დაკვრა მოდაში შემოვიდა. მე გიტარის კლასი ჩამოვაყალიბე და მთელი თბილისის ახალგაზრდობა ჩემთან დადიოდა, მათ შორის ლეოც.

თბილისისთვის ჩვეულ დიდ სამეგობროში გვყავდა ერთი უსაყვარლესი საერთო მეგობარი – ინოლა გურგულია. ლეო და ინოლა ბავშვობის მეგობრები იყვნენ. ლეო ინოლამ გამაცნო. ხშირად ვიყავით ერთად.

ლეო იმ ორგანიზაციის დირექტორი იყო, რომელიც პროპაგანდას უწევდა კინოს. უამრავი საინტერესო ადამიანი ჩამოჰყავდა, სტუმრებს საქართველოს აცნობდა, მის ხელოვნებას, კულტურას, რა თქმა უნდა სასიმღერო კულტურასაც. შეხვედრებს მართავდა, მათ შორის სუფრასთანაც. ჩვენი ვოკალური ტრიო „სამაია“ – ინოლა, მედიკო სიხარულიძე და მე – ამ თავყრილობების ხშირი სტუმრები ვიყავით.

ბევრი კარგი მოგონება მაქვს იმ დროზე, მაგრამ მე ინოლასთან დაკავშირებული ერთი ამბავი მინდა გავიხსენო.

ლეოს ფილმისთვის „ცით გატაცებული“ გიტარის აკომპანემენტი სჭირდებოდა. ფილმის ერთ ეპიზოდში გმირი – მოხუცი მფრინავი გიტარაზე ანდრია ყარაშვილის „სამშობლოს“ ამღერებს. ლეომ გიტარის აკომპანემენტის ჩაწერა მთხოვა. არ ვიცოდი, ის კაცი რა ტონალობაში იმღერებდა და აკომპანემენტი სამ ტონალობაში ჩავუწერე. ლეო თბილისში ამის წასაღებად ჩამოვიდა და აპარატურაც ჩამოიტანა. ინოლა მაშინ უკვე ავად იყო, შინ იწვა, გარეთ არ გამოდიოდა. ლეომ აპარატურა მოიტანა, ინოლა ამღერა და მისი ყველა სიმღერა ჩაიწერა.

„ცით გატაცებულის“ ფინალურ ეპიზოდს ფონად გასდევს სიმღერა „ადამიანი“ – ინოლას სიმღერა ლეოს ჩანაწერიდან. აქ ინოლა სხვანაირად მღერის, განსაკუთრებულად, სიმღერა თითქოს ზეციდან მოდის. ძალიან მოუხდა ფილმს, საოცარი სიღრმე შესძინა...

2016



სოფიო არღუთინსკაია

რედაქტორ-ორგანიზატორი

ლეო ბაქრაძე მიეკუთვნებოდა იმ იშვიათ ადამიანთა რიცხვს, რომელთა გვერდით ყოფნა ბედის უდიდესი საჩუქარია. მასთან ურთიერთობა იყო ადამიანობის, მეგობრობის, კოლეგიალობის საუკეთესო სკოლა. შეუმჩნევლად გაკეთებული სიკეთის თითქოს უმნიშვნელო დეტალებში ვლინდებოდა მისი პიროვნება.

ლეოსთან ჯერ კინოპროპაგანდის ბიუროში და მერე კინოს სახლში ვმუშაობდი. ის იყო საკმაოდ მკაცრი, მაგრამ სამართლიანი ხელმძღვანელი – უაღრესად კეთილშობილი, სულგრძელი, ტაქტიანი, ადამიანური სისუსტეების მიმართ შემწყანარებელი. უნდობლობით ან დამცირებით ადამიანის ღირსების შელახვა მისთვის მიუღებელი იყო.

ბიუროს ხაზით საქართველოში ფილმები რომ ჩამოჰქონდათ, თანამშრომლებისთვის, ჩვეულებრივ, წინასწარ ჩვენებებს აწყობდნენ. ერთ დღეს ლეო მნიშვნელოვან ზარს ელოდებოდა, მაგრამ სადღაც აუცილებელ საქმეზე იყო წასასვლელი და მთხოვა, ტელეფონს ყურადღება მიაქციეო. იმ დღეს ბიუროში უცხოური ფილმი მოიტანეს, რომლის ნახვა ძალიან მინდოდა. სულმა წამძლია, ტელეფონის ყურმილი გადავდე და დარბაზში დავჯექი... მოვიდა ლეო... ასეთი განრისხებული არასოდეს მინახავს. შევწუხდი, ტელეფონთან დაჯდომა დავაპირე, მაგრამ მითხრა: – წადი, ფილმის ნახვა გინდოდა, მე უკვე მოვედი და ამას თვითონ მივხედავ, შენ ფილმს უყურეო... სახეზე და ხმაზე შევატყვე, რომ ძალიან ნაწყენი იყო, მაგრამ საყვედური არ უთქვამს... საღამოს ნათელამ, მისმა მეუღლემ დამირეკა და შემარცხვინა, ლეოს ასე როგორ მოექეციო. თვითონ ეს ამბავი ჩემთვის ერთხელაც არ შეუხსენებია... ეს იყო ჩემთვის გაკვეთილი, რომელიც სამუდამოდ დამამახსოვრდა...

კინოპროპაგანდის ბიურო სტუმრად ჩამოსულ კინემატოგრაფისტებს მაყურებლებთან შეხვედრებს უმართვდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. სტუმრებს ჩვენც დავყვებოდით და მათი წყალობით მთელი საქართველო შემოვიარე. დაუვიწყარი იყო შეხვედრა ქუთაისში, მაშინ მარიანა ვერტინსკაის და ლარისა ლასკარის ვმასპინძლობდით. ლეოც თან გვახლდა. უნდა გენახათ, როგორ წარადგენდა სტუმრებს! დარბაზში ტევა არ იყო, ხალხი კიბეებზე იჯდა და გასასვლელებში იდგა. შეხვედრის შემდეგ, როგორც ყოველთვის, საარაკო სუფრა გაიშალა. ამის ორგანიზებას ლეო არაჩვეულებრივად ახერხებდა. უამრავი ნაცნობ-მეგობარი ყავდა – დიდი სახელმწიფო მოხელეებიც და უბრალო მწყემსებიც – ყველა დიდ პატივს სცემდა. თვითონ იყო უბრალო ურთიერთობაში – გულღია, გულუხვი და ხელგაშლილი... საოცრად ყურადღებიანი და მზრუნველი. უცხოეთიდან რომ ჩამოდიოდა, უსაჩუქროდ არავინ რჩებოდა, იცოდა ვის რა სჭირდებოდა და რა გაახარებდა... მას იმედი და სიხარული მიჰქონდა ადამიანებთან.

2022

ლეო ბაქრაძე და ფეხბურთელი სპარტაკ ჯეჯელავა

ლეო ბაქრაძე, მთამსვლელი და მონადირე ვახტანგ ქირიკაშვილი, სპარტაკ ჯეჯელავა (დგას)

ვახტანგ ქირიკაშვილი და ლეო ბაქრაძე

ლეობაქრაძე, ფოტოხელოვანი ოთარ ქობალიანი და მხატვარი კოკა იგნატოვი



ლეო ბაქრაძე, ლია ელიავა და რეჟისორი ლალი მჟავია

ოთარ კობერიძე, ლეო ბაქრაძე, ლია ელიავა და ლალი მჟავია

ლეო კინომცოდნე ტატა თვალჭრელიძესთან და ჟურნალისტ ლია წილოსანთან ერთად, 1968

დევი სტურუა

მეცნიერი, პუბლიცისტი

... 57 წელია ვიცნობ ლეოს. სამ-სამი წლისანი ვიყავით, როდესაც საბავშვო ბაღში მიგვიყვანეს, მერე სკოლაში ათი წელიწადი ერთ მერხზე ვისხედით, არცერთხელ არ მოგვსვლია კონფლიქტი. მიუხედავად იმისა, რომ სრულიად საპირისპირო ხასიათის ადამიანები ვართ, გვქონდა საოცარი თავსებადობა.

ლეო არის ვაჟკაცი, ლეო არის სიტყვის კაცი, ლეო არის ის კაცი, ვისაც ენდობი ჭირშიც, ლხინშიც. უღალატო ადამიანია, რომელიც სანდოა ყველა სიტუაციაში და მისნაირი მეგობარი ღმერთმა მისცეს ყველას...

1989

ლეო ბაქრაძე სოსო, მაყვალა და დევი სტურუებთან ერთად

რეზო მახათაძე

კინოოპერატორი

ლეო ბაქრაძეს პირველად მოსკოვის კინოს სახლში შევხვდი, მისი ფილმის – „გულის“ პრემიერაზე. იქ არის ერთი ეპიზოდი, როცა ავადმყოფი ბავშვის წინ, მის გასამხიარულებლად ლეო ცეკვავს. ამ სცენამ ისე მომნუსხა, რომ ვინატრე, ნეტავ ასეთ ფილმთან მეც რაიმე შეხება მქონდეს-მეთქი.

სულ ცოტა ხანში ერთმანეთს შევხვდით როგორც რეჟისორი და ოპერატორი – ლეომ თავის ფილმზე სამუშაოდ მიმიწვია.

საოცარი ბუნების კაცი იყო. თუ გენდობოდა – ბოლომდე გენდობოდა. ოჯახის წევრად მიგიღებდა. არ უყვარდა ერთი რამ – გადადებული საქმე. რასაც დაიწყებდა, იმას აუცილებლად ბოლომდე მიიყვანდა. ქართველებს ეს არ გვჩვევია. მეც ასეთი ქართველი ვიყავი, ერთი დღის საქმე შეიძლება ერთი წლითაც გამეწელა. დღეს თუ ცხოვრებაში რაიმე პრინციპები გამაჩნია, ეს ლეოს დამსახურებაა. ჩემი გადადებული საქმე არ არსებობს. ლეომ ჩემში დაუღალავი კაცი დაინახა. ათი წელი მის გვერდით ვიყავი და როგორც ოპერატორმა ლეოს თითქმის ყველა ფილმზე ვიმუშავე.

ლეოს ადამიანურ თვისებებზე ბევრის თქმა შემიძლია, მაგრამ მინდა გავიხსენო რამდენიმე კონკრეტული ამბავი, რომლებიც თვალნათლივ წარმოაჩენენ მის პიროვნებას.

***

ერთხელ კინოსტუდიაში საქმზე მივედით. შენობაში შევედით თუ არა, ჩვენი ყურადღება ქალბატონების ჯგუფმა მიიქცია. ძალიან

შეწუხებულები ჩანდნენ, ერთ-ერთი მათგანი გულამოსკვნილი ტიროდა. სულ უცხო ქალბატონი იყო. ლეო ძალიან განიცდიდა, როცა ადამიანი უგუნებოდ იყო და მითუმეტეს, როცა ტიროდა. მთხოვა გამეგო, რაში იყო საქმე. გავიკითხ-გამოვიკითხე და აღმოჩნდა, რომ ამ ქალბატონის შვილს გულის მანკი ჰქონდა. ეს რომ ლეოს ვუთხარი, პირდაპირ იმ ქალს მიეჭრა, გამოჰკითხა და დაპირდა, რომ დაეხმარებოდა. მართლაც, ჩაიყვანა მოსკოვში, მიიყვანა ბურაკოვსკისთან. რამდენიმე თვის შემდეგ ეს ქალბატონი შემთხვევით შემხვდა,



იაპონია, 1964

მასზე ბედნიერი არავინ იყო. რომ დამინახავდა ხოლმე, არ იცოდა, მადლიერება როგორ გამოეხატა, იმიტომ, რომ ლეომ მას შვილი გადაურჩინა.

ეს სოცარი თვისება ჰქონდა ლეოს, თუ გაიგებდა, რომ ვინმე ავად არის ან რაღაც უჭირს, მის საშველად მიდიოდა...

მოხუცი მამიდა მყავდა, სახსრები აწუხებდა. ლეო მოსკოვში რომ გაფრინდა, ერთ დიდ მსახიობს წამლების შეკვრა გამოატანა, რომელსაც დააწერა – „მარო მამიდას“.

***

ზემოთ ვთქვი, რომ ლეოს გადადებული საქმე არ უყვარდა. ერთხელ კოლეგამ და მეგობარმა, კინორეჟისორმა კარლო ღლონტმა შესჩივლა, ბავშვს გლანდები აქვს ამოსაჭრელი, სულ ყელი სტკივა და იქნებ „წოპესთან“ მიგვიყვანოო. „წოპეს“ ეძახდნენ ჩვენს სახელგანთქმულ ოტოროლინგოლოგს და პლასტიკური ქირურგიის ჯადოქარს ვახტანგ ხუციძეს, რომელზეც ლეომ გადაიღო ფილმი „გამალამაზეთ!“.

ერთი დღეც არ იყო გასული, ლეომ კარლოს შინ მიაკითხა, მოჰკიდა ბავშვს ხელი, მანქანაში ჩაისვა, ბატონ ვახტანგთან მიიყვანა და ცოტა ხანში მშობლებს საღ-სალამათი შვილი დაუბრუნა.

***

ლეოს გარშემო ყოველთვის ხალხმრავლობა იყო. მის გვერდით იყვნენ მისი საბავშვო ბაღის, სკოლის და ინსტიტუტის მეგობრები, მათ შორის, მაღალი თანამდებობის პირები. ლეო იყო ყველას მფარველი. სიკეთის კეთება იყო მისი შინაგანი მოთხოვნილება. ამას ლამაზად აკეთებდა. და რასაც აკეთებდა, უყვარდა...

ერთ ძალიან ლამაზ ადგილას მქონდა და ახლაც მაქვს საფუტკრე მეურნეობა. ერთხელ მითხრა, – შენთან ჩემი მეგობარი უნდა ჩამოვიყვანოო. ვიკითხე, ვინ არის-მეთქი. – რომ მოვიყვან, ნახავო.

დილით თავისი მანქანით სახლში მომადგა, და ვხედავ ბატონ დევი სტურუას თავის მეუღლესთან, ქალბატონ მაყვალასთან ერთად. თურმე ბატონი დევი იმ დროს ავადმყოფობდა და ლეოს უთქვამს, ბუნებაში უნდა გაგასეირნოო. ბატონმა დევიმ იმ ტყეში მართლაც მოილხინა. ლეოს თან ჰქონდა წამოღებული შამპანიური, პურ-მარილი, სუფრა იქვე, მანქანის კაპოტზე გაშალა და დევი რომ ხასიათზე მოეყვანა, ცეკვა დაიწყო. ათი წუთის მერე მისმა მცდელობამ გაჭრა და ბატონი დევიც აცეკვდა. თბილისში რომ დაბრუნდა, აღარეფერი აღარ სტკიოდა.

ლეოს შეეძლო ადამიანისთვის ზეიმი მოეწყო და სიკეთით განეკურნა.

***

ერთხელ, შინ რომ მესტუმრა, ჩემს შვილებს ჰკითხა, ვიდეომაგნიტოფონი თუ გაქვთო? ბავშვებს თვალები გაუფართოვდათ, ძალიან პატარები იყვნენ. ლეო დაპირდა, მამას თქვენთვის ვიდეომაგნიტოფონს აუცილებლად ვაყიდინებო. ამერიკაში, მივლინებაში რომ ვიყავით, ვიდეომაგნიტოფონი თვითონ იყიდა და დააწერა: „ნინოს და გვანცას ლეო ბაბუსგან“.

ადამიანს ისე უცბად მოუტანდა სიხარულს, კარგ ხასიათზე დააყენებდა. ლეოსგან დაძაბული კაცი მე არ მახსოვს. მის გვერდით მოღუშულს ვერავის ნახავდით. ის იყო ენერგიის წყარო. სადაც გამოჩნდებოდა, იქ ყველას გაღიმებული სახეები ჰქონდა. სიხარული და სიყვარული მოჰქონდა...

***

ლეოს ძალიან უყვარდა ჩვენს ოჯახში სადილობა, ჩემი ცოლის მომზადებული კერძები მოსწონდა. ძალიან ვიწროდ ვცხოვრობდით. ლეომ მკითხა, – რას აპირებო. ეზოში იყო ადგილი და

ვუთხარი, – აქ სახლის აშენების შანსი არის-მეთქი. – ჰო, მართლაც კარგი სახლი აშენდებაო. დავამთავრეთ სადილობა, ჩავსხედით მანქანაში და ერთი დიდი სამინისტროს ხელმძღვანელთან მიმიყვანა. ლეოსთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, დაკავებული იყო თუ არა. შევედით მინისტრთან და ეუბნება, – რეზოს სახლის აშენება უნდაო. გაოცებული დავრჩი, გზაში ჩემთვის არაფერი უთქვამს. – კარგი ეზო აქვს, კარგ ადგილას, კარგ უბანში, მიწაა მოსაჭრელი და

ლეო ბაქრაძე კინოოპერატორ გენადი მიაკიშევთან ერთად, 1981

ამას ხელით ვერ გააკეთებს, ტექნიკით დავეხმაროთო. მიყურებს ეს მინისტრი და მეკითხება: – რამდენი მანქანა დაგჭირდებაო. – სამი მანქანა-მეთქი, ვუთხარი. – ხვალ ტექნიკა შენთან იქნებაო. გამოვედი და ლეოს ვეკითხები, – რას აკეთებ-მეთქი. – გაჩერდი, კაცო, ჩემთან ვალში არიან ეგენიო. მეორე დილას, 7 საათიდან ჩემს სახლთან ჯერ ერთი მანქანა გაჩერდა, მერე კიდევ ერთი... რას წარმოვიდგენდი, რომ ჩემთან არიან, როგორ ვიფიქრებდი, რომ ასე უცბად ვიღაცამ შეიძლება გამოყოს სამი მანქანა და ექსკავატორი. მაშინვე შეუდგნენ საქმეს, ორი დღე თხრიდნენ, 100-მდე მანქანა მიწა გაიტანეს. ლეომ ეს ნახა, მოსკოვში გაფრინდა, ერთ კვირაში დაბრუნდა და მკითხა, – სახლი სად არისო. დათვალე რა დაჯდება, ჩამოწერე და მე შენს გვერდით ვიქნებიო. მერე ჩემს ცოლს მიუბრუნდა და უთხრა, – ლალი, ერთი ოთახი ხომ მექნება ამ სახლში, სასტუმროებში რომ არ ვათენო ღამე? – ნახევარი სახლი თქვენი იქნებაო, უთხრა ლალიმ.

ლეო მოსკოვში წავიდა და აღარ დაბრუნებულა. ნახევარ წელიწადში გავიგეთ, რომ სიმსივნე აღმოაჩნდა. ის მოჭრილი მიწაც ასე დარჩა... ჩემს ოჯახს ძალიან უყვარდა ლეო. ის იყო ჩემთვის მეგობარიც, ძმაც, ბიძაც... მისი წასვლის შემდეგ სურვილი არც მქონია იქ სახლი დამედგა...

***

რაღაც საქმისთვის გარკვეული თანხა დამჭირდა. ლეოსგან მქონდა მიღებული უფლება, თუ გამიჭირდებოდა, მისთვის მიმემართა. ერთ დღეს ჩვენთან სტუმრად იყო და ვუთხარი. კიო, მითხრა, მაგრამ საწერი ქაღალდი და კალამი მომთხოვა. დამაწერინა: მე ესა და ეს ვსესხულობ მისგან ამდენ და ამდენ თანხას და პირობას ვიძლევი, რომ ამ თანხას ამა და ამ დროს დავაბრუნებ. მეხამუშა და, მართალი გითხრათ, აღარ მომინდა იმ თანხის გამორთმევა. ლეომ ხელწერილი ჩემს ცოლს გადასცა და სთხოვა შემინახეო.

წასვლის წინ მითხრა, – მოსკოვში რომ ჩავალ, ფულს გამოგიგზავნი. საკმაოდ სოლიდური თანხა იყო. ვეხუმრე, – არ გეშინია, ლალის ხელწერილი რომ მოვპარო და დავხიო-მეთქი. – არაო, მიპასუხა. ერთი კვირაში ფული ბატონ ოთარ მეღვინეთუხუცესს გამოატანა. „დათა თუთაშხია“ ახალი გამოსული იყო და შინ დაბრუნებულს ბავშვები შემომეგებდნენ ყვირილით: „– დათა თუთაშხია იყო ჩვენთან, დათა თუთაშხია!“. მე საქმე გავაკეთე, დასაბრუნებელი თანხაც ვიშოვე და ჩემს ცოლს ჩავაბარე, ლეოსთვის რომ დამეხვედრებინა. ლეო სამი თვის შემდეგ ჩამოვიდა. გვესტუმრა. სადილად დავსხედით. ლალიმ თანხა გამოიტანა. ლეომ ჰკითხა, – ფული მზად როდის იყოო. – ზუსტად დათქმულ დროს, ერთი თვით ადრეცო, – უპასუხა ლალიმ. – ძალიან კარგიო. ის, ხელწერილი ხომ არ დაუხევია? – ჰკითხა. ვისადილეთ. თანხა მაგიდაზე დევს. ლეომ ლალის და ბავშვებს დაუძახა, აიღო ფული და ლალის გადასცა: – ეს ამ ბავშვებს მოახმარეო. ვიყვირე, – რას შვები-მეთქი, მე ხომ ეს ფული ვისესხე! მიპასუხა: – მე კაცის სიტყვა მაინტერესებდა და რადგან არ გატეხე, ახლა ამ თანხას ისე გამოვიყენებ, როგორც გამიხარდება...

ჩემზე ბედნიერი არავინ იყო, იმიტომ, რომ ლეოს სჭირდებოდა სიტყვის კაცი, საქმის კაცი. თვითონ ლეო იყო ასეთი...

***

ერთი სარეკლამო ფილმისთვის გადაღება გვქონდა გორის სამთავრობო ბაღებში. ძალიან მაღალი ვაშლის ხეები იდგა. სოფლის მეურნეობის სამინისტროში მეგობრები გვყავდა და ახალთახალი ამწე მანქანა გამოგვიგზავნეს. ამწეს სპეციალური კალათი ჰქონდა. ვეხვეწებოდი ლეოს, რომ ქვევით დარჩენილიყო, მაგრამ აბა რა მოასვენებდა, პირველი ჩახტა კალათში. 18 მეტრის სიმაღლეზე აგვწიეს. ლეომ არ მოისვენა, ხან აქეთ მოდგა, ხან იქით, კალათი გაქანდ-გამოქანდა, დასამაგრებელი პინი ამოვარდა და კალათი 3 მეტრზე გადაიხარა. კიდევ კარგი, რომ იქედან გადმოფრენილი

კინოაპარატი არავის არ მოხვდა. ქვევით ატყდა წიოკი. ლეომ მითხრა, პირველი შენ უნდა ჩახვიდეო. დავიწყეთ კამათი, ჩხუბი ამ დაკიდებულ კალათში, რომელიც კაცმა არ იცის როდის მოწყდებოდა. არ დამიჯერა, ფეხი არ მოიცვალა, სანამ მე არ გამისტუმრა ქვევით და არ დარწმუნდა, რომ მშვიდობიანად ჩავედი.

***

ლეო იყო ყველას გაჭირვების ტალკვესი. თუ ვინმეს რამე გაუჭირდებოდა, პირველ რიგში ლეოს მიმართავდა.

90-იანების დასაწყისში მოსკოვის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი მუზეუმი გატეხეს და

არქიტექტორ ოთარ ლითანიშვილთნ ერთად. ტოკიო, 1964

მისი გაძარცვის და გაპარტახების საფრთხე შეიქმნა. იქ წლების მანძილზე შეგროვებული უამრავი დოკუმენტი და ექსპონატი ინახებოდა.

მუზეუმის დირექტორმა, ბატონმა ჯუანშერ ვათეიშვილმა მიამბო: – ამ გაჭირვებაში ლეოს მეტი არავინ გამახსენდა, ვიცოდი, მის გარდა ვერავინ მიშველიდა, მასზე სწრაფად ამ პრობლემას ვერავინ გადაწყვეტდა. დავურეკე და მაშინვე ჩემთან გაჩნდა, მეორე დღეს მანქანა მოიყვანა, ექსპონატები და დოკუმენტები უსაფრთხო ადგილას გადაიტანა და დააბინავა.

***

ფილმ „მისიის“ გადასაღებად ამერიკაში მივფრინავდით. მაშინ მოსკოვიდან პირდაპირი რეისი არ იყო. ვჩერდებოდით ინგლისში, შემდეგ კანადაში და იქედან – ნიუ-იორკში ჩავდიოდით. წესად მქონდა, აპარატურა, რომელიც თან დაგვქონდა, ცალობით დამეთვალა. 30 ნაჭერი: აპარატი, შტატივი, განათების ხელსაწყოები და ა. შ. მოსკოვში, შერემეტიევოს აეროპორტში გავიარეთ საბაჟო კონტროლი, მომცეს იარლიყები, ჩავსხედით თვითმფრინავში. ორი საათის შემდეგ ამოვიღე ეს იარლიყები, დავთვალე და აღმოჩნდა 18. სიაში კი 30 ნაჭერია. წამიხდა ხასიათი. ვიფიქრე, რომ აპარატურის ნაწილი მოსკოვში დარჩა. გასკდეს თვითმფრინავი და მარტო მე ჩავვარდე-მეთქი, ვიფიქრე. ჩავფრინდით ლონდონში. ლეო მატყობს უგუნებობას, მიზეზს მეკითხება, მაგრამ არ ვუტყდები. ერთი სული მაქვს, როდის ჩავალთ ნიუ-იორკში, მაგრამ 14 საათი როგორი მოსათმენია?! კანადაში თითქმის საათნახევარი დავყავით. ვერც ვსვამ, ვერც ვჭამ. ლეო ჩამაცივდა და გამოვუტყდი, ასე და ასეა-მეთქი საქმე. – ამაზე იხეთქავ გულს? დავრეკავ მოსკოვში და იმავე დღეს გამოგვიგზავნიან თუ იქ დარჩაო. გულზე მომეშვა. ბიზნესკლასით მივფრინავდით, ღვინო მოატანინა და მასვა, რომ ხასიათზე მოვეყვანე. ნიუ-იორკში რომ ჩავფრინდით, ბარგის მიღების დროს სულ

იმას ვუყურებდი რა მოდის, ჩემი ჩემოდნის დარდი არ მქონდა. ყველა ნივთი ადგილზე აღმოჩნდა. – ამის გამო იკლავდი თავს? – სიცილით მითხრა ლეომ.

ლეოსთვის პრობლემა არ არსებობდა. თუ რამე სირთულე წარმოიქმნებოდა, ყველაფერს იოლად მოაგვარებდა.

საოცარი კაცი იყო. ბევრი სიხარული მოუტანა ადამიანებს.

ასე მგონია, ლეოს წასვლით სამყაროს სიკეთე დააკლდა.

2015

მამა – პეტრე ილარიონის ძე ბაქრაძე

ლეო და დალი ბაქრაძეები დედასთან – ქსენია ჩიქვინიძესთან ერთად

1946

ნათელა 12 წლის

მეუღლე – ნათელა

მუსხელიშვილი-თოხაძე

ნათელა მწერალ ბორის ანდრონიკაშვილის ვაჟთან – სანდროსთან ერთად

ნათელა თოხაძე და კინორეჟისორი თამაზ მელიავა

ნათელა და ლეო. საირმე, 1967



ლეო ბაქრაძე შვილთან – მიშასთან ერთად

ლეო ბაქრაძე
შვილთან –
მიშასთან ერთად

მიხეილ ბაქრაძე

კინორეჟისორი, რესტორატორი

***

წითელი პარტიზანების, ახლანდელ შარტავას ქუჩაზე შენდებოდა კოოპერატიული სახლი, სადაც ჩვენ მერე ვცხოვრობდით. სახლის მოსაპირკეათებელი მასალის შოვნა ლეომ ითავა, წავიდა ერევანში და იქიდან ტუფი ჩამოიტანა. როგორც თვითონ მიამბო, ქვა მის თვალწინ დატვირთეს, მან მანქანები გამოამგზავრა, თვითონ კი თბილისში თვითმფრინავით დაბრუნდა.

წითელი პარტიზანების ქუჩაზე მაშინ არცერთი სახლი არ იყო. ტუფი ჩამოიტანეს და მთელ ქუჩზე დაალაგესო. რომ შევხედე, თითქოს მეცოტავაო. ლეო მეტისმეტად წესიერი და პუნქტუალური იყო ფულის საკითხში: – ამხელა ფული მომანდეს და ხალხს ხომ არ მოვატყუებდიო. გადაწყვიტა შეემოწმებინა. მათემატიკა მისი ძლიერი მხარე არ იყო, ამიტომ ასეთ ხერხს მიმართა: სამუშაოთა მწარმოებელს ჰკითხა, სულ რამდენი კუბომეტრიაო. იმანაც უპასუხა. ერთ კუბომეტრში რამდენი ცალი უნდა იყოსო. ამაზეც მიიღო პასუხი. ოთხსართულიანი, ორსადარბაზოიანი სახლის მთელი ტუფი ქუჩაზე გააშლევინა, სათითაოდ დაათვლევინა და თვლით ჩაიბარა.

***

წითელი პარტიზანების ქუჩასთან ბევრი საინტერესო ისტორიაა დაკავშირებული.

ლეო ბაქრაძე შვილიშვილთან – ლეოსთან ერთად

ბებიაჩემი – დედაჩემის დედა – მარგარიტა მუსხელიშვილი ვაკეში ცხოვრობდა, იმ ადგილას მერე დიდი სახლი აშენდება, რომელსაც „ავრორას“ ვეძახით. უზარმაზარი ეზო გვქონდა. ძალიან მიყვარდა იქ ყოფნა. წითელ პარტიზანებზე რომ გადავედით, 4-5 წლის ვიყავი. დამავლებნდნენ ხელს, მომიყვანდნენ აქ და გამოკეტილ ბინაში დამაგდებდნენ. შინ არც ნათელა იყო და არც ლეო. ვიყავი ასე მარტო. გული მწყდებოდა ვაკის სახლზე, ეზოზე, იქ ბებია იყო, მივლიდა, ბავშვებთან დამოკიდებულებაში მუსხელიშვილის ქალი სხვა ტრადიციების მიმდევარი იყო. წითელ პარტიზანებზე ეზოშიც არ მიშვებდნენ. მეუბნებოდნენ, ჩადიხარ, მერე ამოდიხარ და „ტო“-ს იძახიო. ლეოს თეატრალური განათლება ჰქონდა, დიდ მნიშვნელობას აქცევდა მეტყველების კულტურას, ქუჩურ სლენგს ვერ იტანდა.

ვცხოვრობდით მეოთხე სართულზე. მე, 5 წლის ბავშვი სულ ფანჯარასთან ვიჯექი. მეზობელი გვყავდა, მაღალი, გამხდარი, ძალიან სიმპათიური ბიჭი. 14 წლის იქნებოდა. სვანური ქუდი ეხურა. დედამისი ჩემი მშობლების მეგობარი იყო. მოპედი ჰყავდა და მეზობელ ბავშვებს, თავისზე პატარებს, წითელ პარტიზანებზე ასეირნებდა, უკან მოისვამდა და... ბავშვები რიგში იდგენენ. აუ, მეც როგორ მინდოდა!...

ამ ბიჭს, თურმე, სისხლის კიბო ჰქონდა და ქიმიაზე მოსკოვში დაჰყავდათ. ეს 14 წლის ბიჭი მხოლოდ მოპედს კი არა, მანქანასაც ძალიან კარგად მართავდა. მშობლებს „გაზ-21“ ჰყავდათ და საჭესთან სვამდნენ ხოლმე. დედამისმა უამბო ლეოს, რომ ერთხელ, აეროპორტში რომ მივდიოდით, ბავშვი საჭესთან დავსვითო, ავტოინსპექციის თანამშრომელმა გაგვაჩერა და სისხლი გაგვიშროო. ლეოს არ უყვარდა დაპირება. არაფერი უთქვამს, ისე წავიდა ვანო მუმლაძესთან, რომელსაც მილიციაში მაღალი თანამდებობა ეკავა, უამბო ეს ამბავი და ჰკითხა: – ბავშვი ავად არის, მანქანას ატარებს და არ არის რამე საყმაწვილო მართვის უფლება, რომ ბავშვმა გაიხაროსო. არაფერი მსგავსი არ არსებობსო, უთქვამს ვანოს მუმლაძეს. მერე დაფიქრებულა და უკითხავს: ბიჭის სურათი თუ გაქვს? მოიტანე და მართვის უფლებას გავუკეთებო. ლეო გავარდა დედამისთან, რაღაც სურათიდან მისი ფოტო ამოაჭრევინა, მიუტანა ვანოს, მოწმობაში ჩააწება და ვანომ თვითონ მოაწერა ხელი.

მალე ისევ მოვიდა მოსკოვში წასვლის დრო. აეროპორტის გზაზე ბიჭი საჭესთან დასვეს. რა თქმა უნდა, ინსპექტორმა გააჩერა. დედამისი ყვებოდა: გავჩერდით, ბიჭი თვითონ გადმოვიდა მანქანიდან, მივიდა ინსპექტორთან და დადგაო. – თქვენი საბუთებიო, – უთხრა ინსპექტორმა. ბიჭმა გულის ჯიბიდან მოწმობა ამოიღო და მიაწოდა. ინსპექტორმა გადაშალა საბუთი, დიდხანს უყურა ვანო მუმლაძის ხელმოწერას, მერე საბუთი დაკეცა, მიაწოდა და სათანადოდ მიესალმა კიდეც. ბიჭი საოცრად ბედნიერი დაბრუნებულა მანქანაში. დედამისი ამბობდა, ლეომ სიციცხლე გაუხანგრძლივა ჩემს ბიჭსო. მოსკოვიდან, სამწუხაროდ, აღარ დაბრუნებულა...

ასეთი „კორუფციული“ ისტორიები ბევრი ჰქონდა.

სოხუმში იყო ერთი კაცი, გვარად კოზმავა. კარიერის უფროსი იყო, ლეოს ბეტონით და სხვა მასალებით ამარაგებდა. ერთხელ მივედი, და ვხედავ, ცქმუტავს, რაღაცის თქმა უნდაო, – ყვებოდა ლეო. ბოლოს გამოუტეხავს, რაში იყო საქმე: კოზმავას ცოლი ჩეხოსლოვაკიაში წასულა. მაშინ ფულს საზღვარგარეთ არ ატანდენენ, ამ ქალს, თურმე, ხელი წაუცდა და მაღაზიაში რაღაცა მოუპარავს. დაუჭერიათ ეს ქალი, აქ წერილი გამოაგზავნეს და პარტიიდან გარიცხეს. ეს ამბავი შესჩივლა იმ კოზმავამ და უკითხავს რა ვქნა, როგორ მოვიქცეო. ლეო კარგად იცნობდა ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა მინისტრს ბოგუსლავ ხნიოუპეკს, ჩამჯდარა თვითმფრინავში, ჩაფრინდა მასთან პრაღაში, უამბო ყველაფერი, იქიდან წერილი გააკეთებინა, რომ ამ

ლეო კინორეჟისორ ლევ კულიჯანოვთან ერთად

ქალს არაფერი მსგავსი არ ჩაუდენია და ეს საშინელი შეცდომაა. წერილი ჩამოიტანა და პარტიის ცეკაში მიიტანა. ქალი პარტიაში აღადგინეს, პარტბილეთი დაუბრუნეს და ყველა ბედნიერი იყო.

***

სისხლი და ოფლი გუდავაში ჰქონდა ჩაღვრილი. სახლს ყოველ ზამთარს ქურდავდნენ. უნიტაზებს და წყლის ავზებსაც კი ხსნიდნენ. სულ უკვირდა, თვითონ ჩეჩმაში დადიან და ნეტავ ეს უნიტაზები სად მიაქვთო. ყოველ ზაფხულს თავიდან აკეთებდა.

გუდავაში ფერმა ააშენა, სანაშენე ბუღა და მეწველი ჩამოიყვანა. თვითონ წველიდა და უვლიდა. ხარს მიშკა ერქვა, სულ თავზე ეფერებოდა, თურმე არ შეიძლებოდა, მოფერებას შეეჩვია და რქენა დაიწყო. დაახლოებით 800 კილო იქნებოდა. თავი რომ მოეფხა-

ლეო ბაქრაძე და შვედი მსახიობი ბიბი ანდერსონი

ნებოდა, ხან ვის მიადგებოდა და ხან ვის. როგორი საქმეა, ამხელა ბუღა რომ მოგადგება. დაინახავდნენ თუ არა, მთელი სოფელი გარბოდა. ერთმა მეზობელმა ნიჩაბი მოუქნია, ბუღამ დაიმახსოვრა და საავადმყოფოში მოახვედრა. ლეოს ეშინოდა, ვინმემ არ დამიკლასო, ბუღა გალში წაიყვანა და იქ საჯიშედ დაიტოვეს.

გუდავაში მდინარის ნაპირი იყო გასამაგრებელი. იქ სამხედრო ნაწილი იდგა. მეთაური ჰყავდათ, პოლკოვნიკი გრანჩენკო. იმ პოლკოვნიკის შვილს, 14 წლის ბიჭს, თმა საერთოდ არ ჰქონდა, სრულიად ქოსა იყო. ლეომ ბევრი იჩალიჩა, ბოლოს მონახა ვიღაც კახელაძე, რომელიც თავზე ნიორს უსვამდა. მოკლედ, ამოუყვანა ამ ბიჭს თმა. კარგი ქოჩორი ჰქონდა, მერე მოუშვა და აღარ იკრეჭდა. მადლიერი გრანჩენკო ლეოს ნებისმიერ თხოვნას უსრულებდა. ერთხელ ლეოს უთქვამს, ტერიტორა მაქვს მოსაბარიო, მეორე დილას სახლის წინ გაჩერდა უზარმაზარი მანქანა, გაისმა ბრძანება: «Рота стройся!», გადმოხტნენ ჯარიკაცები და ისე შეესივნენ ტერიტორიას, რომ შემეშინდა მთელი სახლი არ მოეთხარათ.

***

როდესაც ლეო კინოპროპაგანდის ბიუროს დირექტორი იყო, აქ უამრავი სტუმარი ჩამოდიოდა. მოსკოვის ერთ-ერთი კინოფესტივალის შემდეგ ვიტორიო გასმანი ჩამოვიდა. ერთ საღამოს ვახშამი მთაწმინდაზე, „ფუნიკულიორის“ რესტორნში გაუმართეს. იქ ვიტორიომ ლეოს შესჩივლა, ხუთი დღეა საბჭოთა კავშირში ვარ და ცოლს ვერ დაველაპარაკე, კავშირი არ არისო.

გასულა ლეო და ტელეფონისტების უფროსს, სვეტლანა შავლაყაძეს დაურეკა, სვეტლანა, იტალიას ვერ დამაკავშირებო? კიო, რა პრობლემააო. „ვიტორიო, ვიტორიო, ტელეფონო, იტალია!“ – ახარა ლეომ, ტელეფონის ნომერი გამოართვა და როგორც იქნა ვიტორიო ცოლთან დააკავშირეს. მოვიდა ვიტორიო, დადგა მაგიდისთან, კულბიტი გააკეთა, მაგიდას გადაუფრინა და ბოლოში

ლეო ბაქრაძე მასპინძლობს იტალიელ ჟურნალისტებს

დახტა. ბედნიერი იყო, რომ ერთი კვირის თავზე ძლივს ცოლს და-ელაპარაკა.

***

ძალიან მიყვარდა კინოპროპაგანდის ბიუროს ოფისში მისვლა. მაშინ 14 წლის ვიქნებოდი. გაბაშვილის ქუჩის მხრიდამ შევდიოდი. შევყოფდი თავს და თუ კიბეზე ხმაური იყო, ე. ი. ლეო სამსახურშია, თუ სიჩუმეა, ე. ი. ლეო არ არის.

იტალიელი კინემატოგრაფისტები მცხეთაში, სვეტიცხოვლის ეზოში: პროდიუსერი და მწერალი ფულვიო მორსელა, ლეო ბაქრაძე, კინორეჟისორი სერჯო ლეონე და კინომენეჯერი რობერტო კუომო, 1970

***

მოსკოვის კინოს სახლში ფილმების ჩვენებაზე ლეო უამრავ ხალხს პატიჟებდა. სეანსი 7 საათზე იწყებოდა, შვიდის ნახევარზე ლეო კარებში იდგა და თავის სტუმრებს ხვდებოდა. ნათელას ეუბნებოდა, შვიდის თხუთმეტ წუთზე გამოგივლი და ქვევით დამხვდიო. რამდენჯერ ყოფილა, თუ შვიდის თხუთმეტ წუთზე ნათელა ქვევით არ იყო, ფანჯრიდან ვხედავდი, როგორ იქოქებოდა მანქანა და მიდიოდა. მაშინ მობილურები არ იყო, ნათელა კიოდა: „– ლეო მოვდივარ!“, მაგრამ მეექვსე სართულიდან აბა რას გააგონებდა, ის

მოქანდაკე ზურაბ წერეთელთან ერთად

ჯერ ლიფტში იყო, ლეო კი უკვე ეზოდან გადიოდა. სულ ეუბნებოდა, ხალხი შვიდის ნახევარზე მელოდება, ვერ დავიგიანებ... ასე ცდილობდა ნათელას დისციპლინირებას.

***

ჩემი ცოლი მაია ექიმია, პედიატრი. ხშირად დაღლილი მოდის კლინიკიდან და ამბობს, თქვენ არ იცით რამდენი ხალხი მყავდაო. მე კი ვეუბნები, – მაია მადლობა თქვი, რომ ლეო ცოცხალი არ არის, თორემ ბავშვებს ქუჩიდან მოგიყვანდა.

***

ლეონიდ გურევიჩს მოსკოვში ბინა არ ჰქონდა და ალმ-ათაში ცხოვრობდა. ლეოს კი გურევიჩი მოსკოვში სჭირდებოდა. მარტო ლეოს შეეძლო ასეთი რამის მოფიქრება: მოკიდა ხელი ორ ლეონოვს – კოსმონავტს, საბჭოთა კავშირის გმირს და ცნობილ მსახიობს, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტს. მივიდნენ, სთხოვეს და „მოსსოვეტმა“ გურევიჩს სამოთხიანი ბინა მისცა დოვჟენკოს ქუჩზე...

***

1996 წელს ფილმს ვიღებდით მოსკოვის 850 წლისთავთან დაკავშირებით. ლეოს გუნდი შევკრიბე. ლეონიდ გურევიჩი ცოცხალი იყო. მოვიარეთ მთელი მოსკოვი, რაც გვჭირდებოდა გადავიღეთ. როდესაც დავასრულეთ, რა თქმა უნდა, ყველას ჰონორარი დავურიგე. კინოოპერატორ მიაკიშევს ფული რომ მივეცი, გაუხარდა: „– ო, როგორც ლეოს დროს“.

***

შვილს რომ ველოდებოდით, ვიცოდი, რომ ბიჭს ლეოს დავარქმევდი. თვითონაც იცოდა, მაგრამ მაინც მკითხა, რას დაარქმევო? ლეოს-მეთქი, ვუთხარი, ოღონდ არ გეგონის, შენი პატივისცემის ნიშნად. აი, რომ გამაბრაზებს, კარგად ჩავცხებ და ვეტყვი, ლეო, შენი დედა...! მერე ლეო ამას თვითონ უყვებოდა მეგობრებს, თან სიცილით კვდებოდა, წარმოგიდგენიათ, რა მითხრაო...

ცენტრში – ლეო ბაქრაძე, მისგან მარცხნივ – იტალიელი კინოვარსკვლავი ლუჩია ბოზე, მარჯვნივ – ცნობილი ესპანელი ტორეადორი ლუის მიგელ დომინგინი (ლუჩია ბოზეს ქმარი). თბილისის აეროპორტი, 1965

ლეო ბაქრაძის მიერ ორგანიზებული ფოტოკადრი.
ლონდონის აეროპორტი, 1966 წლის 1 აგვისტო
(ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის დამთვრების შემდეგ)
სხედან: მარჯვნიდან მეორე ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელი ვისენტე ფეოლა, ლეო ბაქრაძე, კოტე მახარაძე, დგანან: ცენტრში – მიხეილ კაკაბაძე, გაზეთ „ლელოს“ მთავარი რედაქტორი

***

ლეოს მეგობარმა, მოცეკვავემ და ქორეოგრაფმა რეზო ჭანიშვილმა, რომელიც ერთხანს ქუთაისში მუშობდა, ასეთი ისტორია მიამბო: ერთ დღეს მირეკავს ლეო და მეუბნება: – მეგობარმა მთხოვა საფლავისთვის კურსების ქვა მაშოვნინეო და არ შეგიძლია ეს საქმე გამიკეთო? – როგორ არა, გაგიკეთებ-მეთქი, ვუპასუხე, – მაგრამ მოსკოვში როგორ გამოგიგზავნო? მეუბნება: შეგიძლია ეს ქვა აეროპორტამდე მიიტანო? – აეროპორტამდე მიტანას შევძლებ-მეთქი, ვპასუხობ. დრო დამითქვა. ამ დროისთვის ქვა აეროპორტში მივიტანე, ვდგავარ და არ ვიცი რა ვქნა. ვხედავ, საფრენ მოედანზე დაჯდა უზარმაზარი სატვირთო თვითმფრინავი. გადმოცვივდა ხალხი, დაავლეს ამ ქვას ხელი, შეტვირთეს და თვითმფრინავი გაფრინდა. გაოგნებული დავრჩი.

ასეთი იყო. გაუგონარ საქმეებს აგვარებდა.

კინოპროპაგანდის ბიუროს სტუმრების შეხვედრა მაყურებლებთან

ლეო ილიკო და ნინო სუხიშვილებთან ერთად

ისტორიული ვითარება

ლეო ბაქრაძის ფილმები და გმირები

ლეო ბაქრაძის ფილმოგრაფიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს დოკუმენტური კინოპორტრეტების სერიას, რომელიც მან თავის პედაგოგთან და უცვლელ სცენარისტთან – კინოდრამატურგ ლეონიდ გურევიჩთან თანამშრომლობით შექმნა. ამ ფილმების გმირები პასუხობენ არა მხოლოდ ავტორის კონკრეტულ ჩანაფიქრს, არამედ მთლიანად მის შემოქმედებით კონცეფციას და ცხოვრების კრედოს. გმირებიც ავტორის სახით პოულობენ თანამოაზრეს. მათ შორის გაბმული სულიერი კავშირის უხილავი ძაფი განსაზღვრავს ამ ფილმების წარმატებას. სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ადგილას მცხოვრებ სხვადასხვა პროფესიის და მოწოდების სრულიად განსხვავებულ ადამიანებს ორი რამ აერთიანებთ: გატაცება (იდეით, ოცნებით, საყვარელი საქმით) და საოცარი უნარი უშურველად გასცენ ცოდნა, ენერგია, სიკეთე, სიყვარული, გაიღონ ყველაზე ძვირფასი – საკუთარი სიცოცხლეც კი.

ამ ფილმების გმირები არიან: ცნობილი ონკობიოლოგი გიორგი სვეტ-მოლდავსკი, რომელმაც ექიმის მოვალეობა საკუთარი სიცოცხლის ფასად მოიხადა („იჩქარეთ სიკეთის კეთება“); ავიაკონსტრუქტორი ალექსი შიუკოვი (შიუკაშვილი), რომელმაც თავისი ოცნების საფრენი აპარატი ააგო („ცით გატაცებული“); გულ-სისხლძარღვთა ქირურგიის ინსტიტუტის ექიმთა გუნდი აკადემიკოს ვლადიმერ ბურაკოვსკის (წარმოშობით თბილისელის) ხელმძღვანელობით („გული“); ანდრეი რუბლიოვის სახელობის ძველი რუსული ხელოვნების მუზეუმის დამაარსებელი და პირველი დირექტორი დავით არსენიშვილი („მრავალჟამიერ!“); ცნობილი პლასტიკური ქირურგი ვახტანგ ხუციძე („გამალამაზეთ!“); კინორეჟისორი რომან კარმენი (მის მუშაობას ლათინურამერიკულ დოკუმენტურ სერიაზე მიეძღვნა ფილმი „საერთო რწმენა“); მეორე მსოფლიო ომის დრო

იჩქარეთ სიკეთის კეთება

ონკობიოლოგი გიორგი სვეტ-მოლდავსკი ფილმში „იჩქარეთ სიკეთის კეთება“

ალბომ ფოტოალბომი

ყირიმის ტყეებსა და სლოვაკიის მთებში მებრძოლი პარტიზანები („დრო უძლურია“); ფეხბურთის მწვრთნელი ბონდო კაკუბავა („ადამიანი ოჩამჩირედან“); ლეგენდარული ექიმი იოსებ ჟორდანია, რომელმაც ავიაკატასტროფის დროს თანამგზავრი გოგონა საკუთრი სიცოცხლის ფასად გადაარჩინა („ლეგენდის სინამდვილე“)...

ლეო ბაქრაძე თავის გმირებს უჩვეულო სიტუაციებში გვიჩვენებს. მისი ფილმების მასალას აქვს გარკვეული „სენსაციურობა“. მაგრამ თავისთავად სენსაცია კი არ იპყრობს რეჟისორის ყურადღებას, დრამატული მოვლენა თავისთავად კი არ წარმოადგენს მისი შემოქმედების ობიექტს. მას აინტერესებს გმირის ხასიათი, მისი სულიერი მდგომარეობა ყველაზე დიდი დაძაბულობის, უმაღლესი აღმაფრენის მომენტში.

პირველივე ფილმმა ერთგვარი კამერტონის როლი შეასრულა რეჟისორის შემოქმედებაში. ფილმის სათაური – „იჩქარეთ სიკეთის კეთება“ აბსტრაქტული ფორმულა არ არის. ლაბორატორია, რომელსაც ფილმის გმირი – გიორგი სვეტ-მოლდავსკი ხელმძღვანელობს, კიბოს უჯრედის საიდუმლოს იკვლევს. დრო არ ითმენს, მათ უნდა იჩქარონ კიდევ იმიტომ, რომ დაუნდობელი სენი თვით მკვლევარის სიცოცხლესაც ემუქრება. და აი, საქვეყნოდ ცნობილი ბიოლოგი, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ონკოლოგიაში, „ექსპერიმენტის სისუფთავისთვის“, უარს ამბობს გამოცდილი საშუალებებით მკურნალობაზე და ცდებს საკუთარ თავზე ატარებს... ფილმის ერთ-ერთ ეპიზოდში ის, XIX საუკუნის მოსკოველი (წარმოშობით გერმანელი) ექიმის თევდორე ჰააზის ძეგლის წინ მდგომი, ამ საოცარი ადამიანის ამბავს გვიყვება: ჰააზი უმდიდრესი და უნიჭიერესი ექიმი იყო, მან დიდი ამაგი დასდო მედიცინას, სიცოცხლის დიდი ნაწილი პატიმართა და გადასახლებულთა მდგომარეობის შემსუბუქებას მიუძღვნა, მთელი ქონება ავადმყოფ პაციენტებს მოახმარა და თვითონ სიღარიბეში გარდაიცვალა. ძეგლის პოსტამენტზე ამოკვეთილია სამი სიტყვა: „იჩქარეთ სიკეთის კეთება“... ეს სიტყვები მან ადამიანებს ანდერძად დაუტოვა.

სიკეთე სხვადასხვა სახით იჩენს თავს ლეო ბაქრაძის მიერ ცხოვრებაში მოძიებულ და ეკრანზე გადატანილ არაჩვეულებრივ ისტორიებში ჩვეულებრივ ადამიანებზე, რომლებსაც სიკეთის კეთება ეჩქარებოდათ...

... კოხტა სააგარაკო სახლი, პატარა სამზარეულო, სადაც კინოკამერა თითქოს „ვიწროდ“ გრძნობს თავს (თითქოს სივრცე არ ყოფნის): ხან წამლებით სავსე მაგიდას მიაბჯენს მზერას, ხან ქაღალდებს, ხანაც კედლებს და მერე, ცოტა ხნით, აქვე მჯდომ ადამიანზე შეჩერდება, შემდეგ მას ბაღში აედევნება, მასთან ერთად გაუყვება ქუჩას, სადგურის ბაქანს, არც მატარებელში და არც ავტობუსში მიატოვებს... ეს ხანდაზმული კაცი ალექსი შიუკოვია („ცით გატაცებული“). ის „ფარმანის“ თვითმფრინავებზე დაფრინავდა, როგორც გამომგონებელმა და კონსტრუქტორმა დიდი წვლილი შეიტანა პრაქტიკული ავიაციის განვითარებაში. მრავალი წლის წინ მან შექმნა „ტექნიკის საოცრება“ – მქნევარა ფრთებიანი საფრენი აპარატი. გავიდა წლები, საჰაერო ტრასებს უკვე კარგა ხანია ულტრათანამედროვე ლაინერები სერავდნენ, შიუკოვის აპარატი კი, როგორც მოძველებული, უსარგებლო ნივთი მისი შემქმნელის სააგარაკო ნაკვეთზე, ფარდულში იმტვერებოდა, წვიმასა და თოვლში სველდებოდა. მერე ვიღაცამ ფარდულს ცეცხლი წაუკიდა. ფრთები დაიწვა... მას შემდეგ ჩუმი, მოკრძალებული გამომგონებელი ინსტანციიდან ინსტანციაში დადიოდა, უამრავ უსიამოვნებას იტანდა იმ იმედით, რომ ვინმე დახმარების ხელს გაუწვდიდა. მას თავისი აპარატის აღდგენა და ადამიანებისთვის დაბრუნება უნდოდა. „... ჩემთვის ხომ არ ამიგია...“ – ისმის ფილმში მისი სულის ამოძახილი. „თუნდაც იმის პატივსაცემად, რაც ავიაციისთვის გავაკეთე“. მოდიოდნენ კომისიები, ბევრს პირდებოდნენ და დანაპირებს მალევე ივიწყებდნენ... მაგრამ გამოჩნდნენ კეთილი ადამიანები და აი, კადრში ტუშინოს აეროდრომია, შიუკოვი, აპარატის კაბინაში, ღვედებს იმაგრებს, აპარატი სიჩქარეს იკრეფს და აფრინდება. „არა, ეს მე არ ვიყავი“ –

ეკრანი



მოგვიანებამდე!

ისმის კადრს გარეთ მისი ხმა. მაგრამ ამას აღარა აქვს მნიშვნელობა. აპარატი აფრინდა, ოცნება ასრულდა და მთავარი ეს არის... შიუკოვის მდიდარი ბიოგრაფია სულ სხვა ფილმის გადაღების შესაძლებლობას იძლეოდა, მაგრამ ავტორებმა მისი ცხოვრების სწორედ ეს ნაწილი აირჩიეს და გვაჩვენეს ოცნებით გატაცებული ადამიანი, რომელსაც სწამს, რომ მისი ოცნება აუცილებლად ასრულდება და აქვს უნარი ეს რწმენა სხვასაც გადასდოს.

... ბაკულევის სახელობის გულ-სისხლძარღვთა ინსტიტუტის მიმღებ განყოფილებაში ექიმები პატარა პაციენტებს სინჯავენ და მშობლებს ერთსა და იგივე ფრაზით მიმართავენ: „ოპერაციის დროს რისკი ძალიან დიდია, მიუხედავად ამისა ბავშვს მხოლოდ ოპერაცია უშველის“. ამ კადრებით იწყება ფილმი „გული“. უბრალოდ გული. გული პატარა პაციენტისა, რომელსაც უნდა უმკურნალონ. ადამიანის გული... „რა მინდა დავინახო ფილმში? – ავტორთა კითხვას პასუხობს ინსტიტუტის დირექტორი აკადემიკოსი ბურაკოვსკი. – მთავარია აჩვენოთ, რომ თანამედროვე მედიცინაში ერთი ადამიანი ვერაფერს გახდება, რაოდენ ნიჭიერი და გენიალური არ უნდა იყოს იგი. ამის გაკეთება მხოლოდ კოლექტივს შეუძლია, ერთიანი იდეით, ერთიანი სულისკვეთებით შეკრულ გუნდს და ყველამ დიდი ენთუზიაზმით უნდა იმუშაოს...“

ოთხი თვე გაატარა გადამღებმა ჯგუფმა ინსტიტუტის კედლებში, მათ გვერდით, ვისაც ადამიანთა სიცოცხლე აბარია. ფილმში არ არის სადიქტორო ტექსტი, კადრს მიღმა ისმის მხოლოდ ბურაკოვსკის ხმა, ხმაური, ექიმების და პატარა პაციენტების საუბარი. მაგრამ სიტყვები არაფერია, როდესაც ეკრანზე ხედავ როგორ ძგერს ცოცხალი გული. რეჟისორის საშუალებას გვაძლევს დავინახოთ ყველა სირთულე და წინააღმდეგობა, რომელიც ყოველდღიურად ახლავ მედიკოსთა შრომას. ჩვენც პატარა პაციენტებთან ერთად გავივლით მძიმე გზას მიმღები განყოფილებიდან საოპერაციომდე. ფილმში არის „გამჭოლი“ პერსონაჟი – შვიდი წლის ბიჭუნა.

ფილმის ყურებისას ჩვენ ყველა ბავშვს ვგულშემატკივრობთ, მაგრამ ამ პატარა პაციენტს ავტორები უფრო ახლოს გვაცნობენ, მას მეტად ვეჩვევით და ამიტომ მის ამბავს განვიცდით როგორც ჩვენთვის ყველაზე ახლობელი ადამიანის ამბავს... გავა დრო და ბიჭუნა მშობლებთან ერთად კლინიკას დატოვებს, მაგრამ ჩვენ მას ვერ დავივიწყებთ. ისევე, როგორც ვერ დავივიწყებთ ადამიანებს, რომლებმაც მას სიცოცხლე აჩუქეს, ვერ დავივიწყებთ ავადმყოფის საწოლთან ფილმის ავტორის ცეკვას, რომელმაც პატარა პაციენტს ღიმილი დაუბრუნა...

უკვე აღვნიშნეთ, რომ ლეო ბაქრაძის ფილმებს საფუძვლად უდევს მწვავე, უჩვეულო სიტუაცია. ის არ არის სცენარისტის და რეჟისორის გამონაგონი, ის ცხოვრებიდან არის აღებული. არ არის გამოგონილი არც ის ისტორია, რომელზეც მოგვითხრობს ფილმი „მრავალჟამიერ!“: დავით არსენიშვილი 1940 წელს ანდრეი რუბლიოვის მუზეუმის დირექტორად დანიშნეს, 1959 წელს კი დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლეს. თავისი სიცოცხლის 10 წელიწადი მან საყვარელ საქმეს მიუძღვნა, ზოგჯერ შეუძლებელს აკეთებდა, რათა შეეგროვებინა და მომავალი თაობებისთვის შემოენახა ის, რაც დიდმა მხატვარმა, მისმა მოწაფეებმა და მიმდევრებმა შექმნეს. ბევრჯერ გადააწყდა გულგრილობას, გაუგებრობას და სისასტიკესაც კი. მაგრამ დაეხმარა რწმენა, დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანის დაუოკებელი სურვილი. მუზეუმი მის გარეშე გახსნეს (მაშინ უთქვამს: „... ის ხომ მაინც ჩემია, რაც არ უნდა მოხდეს“). ფოტოებმა შემოინახეს ამ ღირსახსოვარი დღის მომენტები: სტუმრებს შორის არის დავით არსენიშვილიც, მაგრამ არა საპატიო ტრიბუნაზე, არამედ დამსწრეთა ზურგს უკან, მონასტრის კედელზე მიყრდნობილი, მარტო... თუმცა მარტო ის არასოდეს ყოფილა, ყავდა უამრავი მეგობარი, თანამოაზრე და თაყვანისმცემელი. ფილმი აგებულია მათ მოგონებებზე. დავით არსენიშვილის 75 წლისთავის აღსანიშნავ ხსოვნის სუფრასთან ჟღერს „მრავალჟამიერი“, როგოც

გამოსამშვიდობებელი!

Ludmila

ჰიმნი ადამიანს, ვისთვისაც ზნეობრივი, სულიერი იყო მთელი ცხოვრების აზრი და მიზანი.

„ფილმი „მრავალჟამიერ!“ განსაკუთრებულია იმიტომ, რომ თემამ, რომელიც დაკავშირებულია ფილმის გმირთან – დავით ილიას ძე არსენიშვილთან, ლეო მაშინვე გაიტაცა. აქ ყველაფერი თანხმიერი იყო ლეოს ბუნების, მისთვის ახლობელი იყო დავით არსენიშვილის ბუნება. მისი დაუღალავი ვნება, საქმით გატაცება. ხშირად მიფიქრია, რას ხედავდა დავით არსენიშვილი რუბლიოვში? ის პირველ რიგში ხედავდა იმას, რაც ყოველდღიურად სჭირდება ადამიანს – სიკეთეს, და ეს სიკეთე გულუხვად მიჰქონდა ადამიანებთან... დავით არსენიშვილში ლეომ დაინახა ის, რაც მისთვის იყო მნიშვნელოვანი ცხოვრებაში – დაუდეგრობა, გატაცება, ვნება... ის, რასაც ადამიანისთვის ბედნიერება მოჰქონდა“ (ირინა ივიანოვა, ხელოვნებათმცოდნე).

„გამალამაზეთ!“ – ასე ქვია ფილმს, რომელიც პლასტიკური ქირურგიის კორიფეზე – ვახტანგ ხუციძეზე და მის უნიკალურ მეთოდზე მოგვითხრობს. ფილმის მსვლელობისას ჩვენ ამ მეთოდის დანერგვის მოწმენი ვხდებით. ქირურგის ხელში მოსკოველი მსახიობის და ქართველი სოფლელი გოგონას ბედი გადაიკვეთება. ავტორები საშუალებას გვაძლევენ თვალი გავადევნოთ თანდაყოლილი და შეძენილი ფიზიკური დეფექტებით დამახინჯებულ ახალგაზრდა ქალთა პირად და სოციალურ ცხოვრებას. ქირურგის მადლიანი ხელები მათ კომპლექსებისგან ათავისუფლებენ, უმკვიდრებენ მომავლის იმედს. იწყება ახალი ცხოვრება. ფილმის გმირებს ელით ახალი, განუცდელი სიხარული და... ახალი პრობლემები. ავტორები ფაქიზი იუმორით გვაწვდიან სათქმელს, ცდილობენ გამოავლინონ ის მოტივები, რომლებიც ადამიანს გარეგნობის შეცვლას გადააწყვეტინებენ. პრობლემის მრავალმხრივი კვლევა გვაძლევს საშუალებას გავეცნოთ ფსიქოლოგების, მხატვრების, ცნობილი მსახიობების აზრს პლასტიკური ქირურგიის შესახებ. ქირურგის დანამ შეიძლება ადამიანის გარეგნობა

და, ამასთან ერთად, მთელი მისი ცხოვრება შეცვალოს. ადამიანი გალამაზდება. მაგრამ ხომ არ ინანებს, რომ დაკარგა ინდივიდუალობა? იქნება თუ არა ის ბედნიერი?

„ბედნიერი ხარ?“ – ეკითხებიან ავტორები საფეხბურთო გუნდის მწვრთნელს ბონდო კაკუბავას („ადამიანი ოჩამჩირედან“). „რა თქმა უნდა, ბედნიერი ვარ“. – გვესმის პასუხი. ბედნიერია იმიტომ, რომ აქვს უნარი თავის ბიჭებს სპორტული ბრძოლის საოცარი სტიქია აღმოაჩენინოს. ბედნიერია, მიუხედავად იმისა, რომ ისინი, მის მიერ დაფრთიანებულები, მიდიან, ის კი რჩება და ყველაფერი თავიდან უნდა დაიწყოს... „ბედნიერია ვისაც აქვს ის, რაც სხვას სჭირდება და ვისაც გაცემა შეუძლია“. – ამბობს მხატვარი ნელი ნავიცკაია – კინონოველის „მე თბილისიდან ვარ“ გმირი.

ლეო ბაქრაძის ბოლო ფილმი – „მისია“ დედამიწის გარშემო 800 პეტროგრადელი ბავშვის არაჩვეულებრივი მოგზაურობის საოცარ ამბავს მოგვითხრობს. 1918 წელს შიმშილითა და რევოლუციის ქაოსით მოცული პეტროგრადიდან მშობლებმა ისინი საზაფხულოდ ურალზე გახიზნეს, მაგრამ სამოქალაქო ომის გამო მათი უკან დაბრუნება შეუძლებელი აღმოჩნდა. უპატრონოდ დარჩენილი, შიმშილისა და მაწანწალობისთვის განწირული ბავშვების საშველად „წითელი ჯვრის“ ამერიკული მისიის წევრები მოვიდნენ. მათ ბავშვებზე მზრუნველობის და პეტროგრადში მათი დაბრუნების ურთულესი მისია იკისრეს: ბავშვებს არა მხოლოდ სიცოცხლე და ჯანმრთელობა შეუნარჩუნეს, არამედ რთული და გრძელი გზით – ვლადივოსტოკიდან იაპონური გემით, ამერიკაზე, წყნარ და ატლანტიკის ოკეანეებზე გავლით ჯერ ფინეთში ჩაიყვანეს, შემდეგ საზღვარზე გადაიყვანეს და მშობლებს ჩააბარეს. ფილმში გამოყენებულია უნიკალური საარქივო მასალები და ცოცხალი მოწმეების მოთხრობები ამ საოცარი და აქამდე უცნობი ჰუმანიტარული აქციის შესახებ.

ფილმში ჟღერს პოლ ანკას სიმღერა, რომელშიც არის ასეთი სიტყვები: „ვიცი, ცხოვრების გზას მხოლოდ ერთხელ გავივლი

ᲛᲐᲚᲘᲜᲝ

ქართველები დიდ თეატრში

ნინო ანანიაშვილი, მაყვალა ქასრაშვილი, ზურაბ სოტკილავა და მაია თომაძე ფილმში „ქართველები დიდ თეატრში“

და თუ რამ სიკეთის ქმნა შემიძლია, თუ შემიძლია მოყვასისთვის ხელის გაწვდენა, მოდი, ამ საქმეს ნუ გადავდებ და დღეს გავაკეთებ...“

ასე იცხოვრეს ადამიანებმა, ვისაც ლეო ბაქრაძემ თავისი ფილმები მიუძღვნა. ასეთი იყო თვით რეჟისორის ცხოვრების კრედო.

მარინა კერესელიძე

ფილმოგრაფია

სცენარისტი, რეჟისორი

1975

იჩქარეთ სიკეთის კეთება

28 წთ. საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდია „მემატიანე“.
სცენარის ავტორი: ლეონიდ გურევიჩი
რეჟისორი: ლეო ბაქრაძე
ოპერატორი: ანატოლი შაფრანი
ხმის რეჟისორი: სტანისლავ ბიცი.

- *პრიზი საუკეთესო დოკუმენტური ფილმისთვის, მე-2 რესპუბლიკური კინოფესტივალი, ბათუმი, 1976.*

1977

საერთო რწმენა

19 წთ. საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდია „მემატიანე“.
სცენარის ავტორი და რეჟისორი: ლეო ბაქრაძე
ოპერატორი: ვადიმ ალისოვი
ხმის რეჟისორი: სტანისლავ ბიცი
მონტაჟორი: ოლღა ტროფიმოვა.

- *სპეციალური დიპლომი, კრაკოვის (პოლონეთი) მოკლემეტრაჟიანი ფილმების მე-16 საერთაშორისო კინოფესტივალი, 1979.*

1978

ცით გატაცებული

28 წთ. საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდია „მემატიანე“.
სცენარის ავტორები: ლეო ბაქრაძე, დავით მაჭავარიანი
რეჟისორი: ლეო ბაქრაძე
ოპერატორები: ვადიმ ალისოვი, ანატოლი შაფრანი
მონტაჟორი და მუსიკალური გამფორმებელი: ოლღა ტროფიმოვა
ხმის რეჟისორი: სტანისლავ ბიცი.

- *I პრემია საუკეთესო დოკუმენტური ფილმისთვის, მე-12 საკავშირო კინოფესტივალი (აშხაბადი, თურქმენეთი), 1979.*

1980

გული

47 წთ. საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდია „მემატიანე“.
სცენარის ავტორი: ლეონიდ გურევიჩი
რეჟისორი: ლეო ბაქრაძე
ოპერატორები: კრისტიან ვალდესი, ანატოლი შაფრანი
ხმის რეჟისორი: სტანისლავ ბიცი
მონტაჟორი: ოლღა ტროფიმოვა.

- *I პრემია საუკეთესო სამეცნიერო პოპულარული ფილმისთვის, მე-13 საკავშირო კინოფესტივალი (დუშამბე, ტაჯიკეთი), 1980.*

მრავალჟამიერ!

29 წთ. საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდია „მემატიანე“.
სცენარის ავტორი: ლეონიდ გურევიჩი
რეჟისორი: ლეო ბაქრაძე
ოპერატორები: კრისტიან ვალდესი, ანატოლი შაფრანი, რამაზ კაკულია
ხმის რეჟისორი: სტანისლავ ბიცი
მონტაჟორი: ოლღა ტროფიმოვა.

- *I პრემია დოკუმენტური ფილმების კონკურსში, მე-14 საკავშირო კინოფესტივალი (ვილნიუსი, ლიტვა), 1981.*

1981

დრო უძლურია

28 წთ. საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდია „მემატიანე“.
სცენარის ავტორი და რეჟისორი: ლეო ბაქრაძე
ოპერატორი: ანატოლი შაფრანი
ხმის რეჟისორი: სტანისლავ ბიცი
მონტაჟორი: ოლღა ტროფიმოვა.

- *I პრემია და დიპლომი საუკეთესო დოკუმენტური ფილმისთვის, მე-15 საკავშირო კინოფესტივალი (ტალინი, ესტონეთი), 1982.*

1982

ადამიანი ოჩამჩირედან

19 წთ. საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდია „მემატიანე“.
სცენარის ავტორი: ლეონიდ გურევიჩი
რეჟისორი: ლეო ბაქრაძე
ოპერატორები: ანატოლი შაფრანი, რევაზ მახათძე
კომპოზიტორი: ალექსანდრე გოლდშტეინი
ხმის რეჟისორი: სტანისლავ ბიცი
მონტაჟორი: ოლღა ტროფიმოვა.

- *II პრემია და ვერცხლის მედალი, სპორტული ფილმების მე-9 საკავშირო კინოფესტივალი (კაუნასი, ლიტვა), 1983.*

მე თბილისელი ვარ

15 წთ. საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდია „მემატიანე“.
სცენარის ავტორი: ლეონიდ გურევიჩი
რეჟისორი: ლეო ბაქრაძე
ოპერატორები: ანატოლი შაფრანი, რამაზ კაკულია
ხმის რეჟისორი: სტანისლავ ბიცი
მონტაჟორი: ოლღა ტროფიმოვა.

ოჯახი

56 წთ. საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდია „მემატიანე“.
სცენარის ავტორები: ევგენი სამოილოვი, ანატოლი ზახაროვი, ბორის რიჩკოვი, პაველ სირკესი
რეჟისორი: ლეო ბაქრაძე
ოპერატორები: გენადი მიაკიშევი, რამაზ კაკულია
ხმის რეჟისორი: იური ზორინი
მონტაჟორი: ვერა ოსტრინსკაია.
მთხრობელი: რამაზ ჩხიკვაძე.

ქართველები დიდ თეატრში

10 წთ. საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდია „მემატიანე“.
სცენარის ავტორი: ლეონიდ გურევიჩი
რეჟისორი: ლეო ბაქრაძე
ოპერატორები: გენადი მიაკიშევი, ანატოლი შაფრანი
ხმის რეჟისორი: სტანისლავ ბიცი
მონტაჟორი: ოლღა ტროფიმოვა.

1983

კეთილი მებრძოლი

29 წთ. საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდია „მემატიანე“.
სცენარის ავტორი: ლეონიდ გურევიჩი
რეჟისორი: ლეო ბაქრაძე
ოპერატორები: ანატოლი შაფრანი, რევაზ მახათაძე
ხმის რეჟისორი: სტანისლავ ბიცი
მონტაჟორი: ოლღა ტროფიმოვა.

რადგან სამშობლოს ერთი გვაქვს თაღი

49 წთ. საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდია „მემატიანე“.
სცენარის ავტორები: დევი სტურუა, ლეო ბაქრაძე, პაველ სირკესი
რეჟისორი: ლეო ბაქრაძე
ოპერატორები: გენადი მიაკიშევი, რევაზ მახათაძე
ხმის რეჟისორები: სტანისლავ ბიცი, გია აბაშიძე
მონტაჟორი: ვერა ოსტრინსკაი
ტექსტს კითხულობენ: გიორგი გეგეჭკორი, მიხეილ კოზაკოვი.

1984

გამალამაზეთ!

29 წთ. საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდია „მემატიანე“.
სცენარის ავტორი: ლეონიდ გურევიჩი
რეჟისორი: ლეო ბაქრაძე
მთავარი ოპერატორი: ანატოლი შაფრანი
ოპერატორები: რამაზ კაკულია, რევაზ მახათაძე
კომპოზიტორი: ალექსანდრე გოლდშტეინი
ხმის რეჟისორები: სტანისლავ ბიცი, ბადრი გოგიბერიძე
მონტაჟორი: ოლღა ტროფიმოვა.
გოგოლისა და როსტანის ნაწარმოებების ფრაგმენტებში მონაწილეობენ ოთარ მეღვინეთუხუცესი, სოფიკო ჭიაურელი, კოტე მახარაძე.

- *ჟიურის დიპლომი, მე-19 საკავშირო კინოფესტივალი, ალმა-ატა (ყაზახეთი), 1986.*
- *ნომინაცია რუსეთის კინემატოგრაფიული ხელოვნების აკადემიის პრემიაზე „ნიკა“ საუკეთესო სამეცნიერო-პოპულარული ფილმის კატეგორიაში, 1988.*

1985

სიყვარული

29 წთ. საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდია „მემატიანე“.

სცენარის ავტორი: ლეონიდ გურევიჩი
რეჟისორი: ლეო ბაქრაძე
ოპერატორები: ანატოლი შაფრანი, რევაზ მახათაძე
კომპოზიტორი: ალექსანდრე გოლდშტეინი
ხმის რეჟისორი: სტანისლავ ბიცი
მონტაჟორი: ოლღა ტროფიმოვა.

- *მთავარი პრიზი საბჭოთა ფილმების პროგრამაში, ობერჰაუზენის (გერმანია) მოკლემეტრაჟიანის ფილმების 33-ე საერთაშორისო კინოფესტივალი, 1987.*

1986

გაშლილი გულით... ლენინი და საქართველო: მოგონებები და დოკუმენტები

50 წთ. საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენეტური ფილმების სტუდია „მემატიანე“.
სცენარის ავტორები: დევი სტურუა, პაველ სირკესი
რეჟისორი: ლეო ბაქრაძე
ოპერატორები: გენადი მიაკიშევი, რევაზ მახათაძე
ხმის რეჟისორი: სტანისლავ ბიცი
მონტაჟორი: ოლღა ტროფიმოვა.

1987

ვინ არის მიწის პატრონი?..

48 წთ. საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდია „მემატიანე“.
სცენარის ავტორები: ალექსანდრე ბელიავსკი, ირინა ერისანოვა, ლეონიდ გურევიჩი
რეჟისორები: ლეო ბაქრაძე, მიხეილ ბაქრაძე
ოპერატორები: ანატოლი შაფრანი, რევაზ მახათაძე
ხმის რეჟისორი: სტანისლავ ბიცი
მონტაჟორი: რაისა ნოვიკოვა.

ლეგენდის სინამდვილე

20 წთ. საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდია „მემატიანე“.
სცენარის ავტორი: ლეონიდ გურევიჩი
რეჟისორები: ლეო ბაქრაძე, მიხეილ ბაქრაძე
ოპერატრები: ანატოლი შაფრანი, რევაზ მახათაძე
მუსიკალური გაფორმება: ალექსანდრე გოლდშტეინი
ხმის რეჟისორი: სტანისლავ ბიცი
მონტაჟორი: რაისა ნოვიკოვა.

1989

მისია

64 წთ. საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდია „მემატიანე“.
სცენარის ავტორები: ლეონიდ გურევიჩი, ვლადიმერ კუპერმანი, მიხეილ ბაქრაძე
რეჟისორები: ლეო ბაქრაძე, მიხეილ ბაქრაძე
ოპერატორები: ანატოლი შაფრანი, რევაზ მახათაძე
კომპოზიტორი: ალექსანდრე გოლდენშტეინი
ხმის რეჟისორი: სტანისლავ ბიცი
მონტაჟორი: ვლადიმერ პრიგოჟინი.

მსახიობი

1954 **ჭრიჭინა** (რეჟისორები: სიკო დოლიძე, ლევან ხოტივარი) – ლევანი.

1956 **ეთერის სიმღერა** (რეჟისორი: სიკო დოლიძე) – დიმიტრი არაყიშვილი.

1992 **უძინართა მზე** (რეჟისორი: თემურ ბაბლუანი) – ეპიზოდი.

მეგობარი

თარიღები

დაიბადა 1930 წლის 5 ნოემბერს პეტრე ილარიონის ძე ბაქრაძის ოჯახში.

1953 – დაამთავრა საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი;

1953 – 1958 – საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სალაპარაკო ჟანრის მსახიობი;

1954 – მონაწილეობდა ფილმში „ჭრიჭინა“;

1956 – მონაწილეობდა ფილმში „ეთერის სიმღერა“;

1958-1962 – კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დუბლიაჟის მსახიობი;

1963-1969 – ხელმძღვანელობდა „საბჭოთა კინოხელოვნების პროპაგანდის ბიუროს“ საქართველოს განყოფილებას;

1970-1973 – თბილისის კინოს სახლის დირექტორი;

1976 – დაამთავრა კინოსტუდია „მოსფილმთან“ არსებული სცენარისტთა და რეჟისორთა უმაღლესი კურსები (ლეონიდ გურევიჩის სახელოსნო);

1976-1992 – საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდია „მემატიანის“ რეჟისორი;

1983 – მიენიჭა საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება;

1992 – მონაწილეობდა ფილმში „უძინართა მზე“;

გარდაიცვალა 1994 წლის 29 აპრილს. დაკრძალულია მოსკოვში, ნოვოდევიჩიეს სასაფლაოზე.

სარჩევი

კაცი, რომელსაც სიკეთის კეთება ეჩქარებოდა

მოგონებები ლეო ბაქრაძეზე 3

ელდარ შენგელაია 5

კორა წერეთელი 10

ლეონიდ გურევიჩი 16

ირაკლი კვირიკაძე 21

ოლგა ტროფიმოვა 22

პაველ სირკესი 24

გურანდა გაბუნია 27

ქეთი დოლიძე 31

ლანა ღოღობერიძე 37

გიული დარახველიძე 44

სოფიო არღუთინსკაია 46

დევი სტურუა 57

რეზო მახათაძე 58

მიხეილ ბაქრაძე 80

იჩქარეთ სიკეთის კეთება

ლეო ბაქრაძის ფილმები და გმირები 97

ფილმოგრაფია 114

თარიღები 122

ISBN 978-9941-8-5570-2

Ipsum dolor sit amet